

სოვათუზურ-
ქართულ-
რუსულ-
ინგლისური
ლექსიკონი

ტომი IV

ა - ე

თბილისი
2019



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation



იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iakob Gogebashvili Telavi State University

წიგნის თეორიული - ქართული- ბიუსუდ-ინტელისუბი დიქსიონარი

ტომი IV (დამატებები)

ა - ე



გამომცემლობა „ანიპრესი“
 თბილისი 2019

უაკ (UDC) 81'374.823=351.41=353.1=161.1=111

წ-74

სამეცნიერო პროექტი „საფრთხეში მყოფი ენები და მათი დოკუმენტირების სასიცოცხლო მნიშვნელობა (წოვათუშური ენის მაგალითზე)“ (გრანტი №217850) ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსახრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project 'Endangered Languages and Vital Meaning of Their Documentation (according to the Tsovatush Language)' (Grant №217850) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

შემდგენელ-გამომცემლები: **არსენ ბერთლანი** (მთავარი რედაქტორი)

მაყვალა მიქელაძე
ქეთევან გიგაშვილი
ნათია გაბაშვილი

ოპერატორი: **მარიამ ბერთლანი**

ტომის რედაქტორი: **მზია გიგაშვილი**

ტომი იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარედაქციო საბჭოს თანხმობით.

„წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონის“ წინამდებარე ტომში ვოკაბულების სახით შეტანილია ჩვენ მიერ გამოცემულ წინა ტომებს შორის პერიოდებში მოპოვებული სრულიად ახალი ლექსიკური სიდიდეები, დამატებულია აგრეთვე წინა ტომებში შესულ სიტყვებში გამოვლენილი ლექსიკოგრაფიული თავისებურებები. IV ტომში შეტანილია დაახლოებით **1.550** სიტყვა.

© იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

© არსენ ბერთლანი

© მაყვალა მიქელაძე

© ქეთევან გიგაშვილი

© ნათია გაბაშვილი

ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2019

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-540-2

Цоватушинско-грузинско- русско-английский словарь

Том | V (Дополнения)

ა – ‘

Составители-издатели: **Арсен Бертлани** (Главный редактор)

Маквала Микеладзе

Кетеван Гигашвили

Натия Габашвили

Оператор: **Мариам Бертлани**



Издательство „**Универсал**“

Тбилиси 2019

Tsovatush-Georgian- Russian-English Dictionary

Volume | V (Supplements)

a – ‘

Compiler-editors: **Arsen Bertlani** (Editor-in-chief)

Makvala Mikeladze

Ketevan Gigashvili

Natia Gabashvili

Operator: **Mariam Bertlani**



Publishing House “**UNIVERSAL**”

Tbilisi 2019

ბახვა ბახუსს (ბაიხოიძეს)

ეძღვნება ეს ტომი –

ჩვენგან წაღრედილ წახულ პოეტს

და საწყაიმშენებლობის დღისთვის

Бахве Бахусу (Баихоидзе)

посвящается данный том –

преждевременно ушедшему от нас поэту

и большому мастеру словостроения

The volume is dedicated to

Bakhva Bakhus (Baikhoidze) –

prematurely died poet and

master of word making

შესავალი

მკითხველს შევახსენებთ, რომ ჩვენი სამეცნიერო ჯგუფის ლექსიკოგრაფიულმა საქმიანობამ, რომელიც მთლიანად დაეფუძნა დავით ქადაგიძისა და ნიკო ქადაგიძის უნიკალურ „წოვათუშურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონს“,¹ შედეგად მოგვცა სამტომეული,² სადაც მთლიანობაში შევიდა ჩვენ მიერ მოძიებული 1.800-მდე ახალი სიტყვაც (600-მდე თითოეულ ტომში).

თუმცა, როგორც საქმემ აჩვენა, ახალი სიტყვების ეს რაოდენობა არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რათა ამოწურულად მიგვეჩინა ამ საინტერესო ენის ლექსიკური არსენალი. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ კიდევ ერთი ტომის დამატება.

სკრუპულოზურმა მუშაობამ თუშური ენის³ ლექსიკაზე კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ ენის გადართვის დღევანდელი მდგომარეობის გამო აქ ბევრი რამ განიცდის დაჩქარებულ და მუდმივ მსხვრევას. სავალალო დეგრადაციამ შეაღწია თვით ფონეტიკაშიც კი, რომელიც ბოლო დრომდე ბასტიონით იდგა ენის სამანებთან. განსაკუთრებული და იოლად დასანახი წნეხის ქვეშ არის მოყოლილი, მაგალითად, ხმოვანთა კვანტიტეტი (ბგერათრაოდენობა, სიგრძე-სიმოკლე). აქ ზოგჯერ იმდენად გაბუნდოვებულია ბგერის ფონეტიკა – როგორც არტიკულაციურად, ისე აკუსტიკურად, რომ სპეციალური აპარატურის გარეშე ჭირს მისი კვალიფიცირება და, მაშასადამე, გრაფიკულად სწორად ასახვა. უკვე ამ მიზეზთა გამო ჩვენ მიერ მკითხველთათვის წარმოდგენილი თუშურენოვანი ლექსიკა და, მაშასადამე, ლექსიკოგრაფიაც არ იქნება, არც შეიძლება იყოს უხარვეზო, საბოლოო და სრულყოფილი. ეს გვინდა, იცოდეს და გაითვალისწინოს მკითხველმა.

გარდა იმისა, რომ ზოგადადაც დღემდე ძალაშია ძველი ლათინების თეზა *Errare humanum est* ‘შეცდომა ადამიანური რაბა’, საქმემ აჩვენა, რომ ამ კუთხით უდამწერლობო ენის ლექსიკონი უსათუოდ საჭიროებს არაერთგზის გადამუშავებას, რასაც ნაწილობრივ მივმარაგებთ კიდევაც წინამდებარე ტომში: აქ წინა (ძირითადი) ტომებიდან გადმოვიტანეთ (გავიმეორეთ) და ვარსკვლავით (*) აღვნიშნეთ ზოგიერთი სიტყვა, რომელიც დაექვემდებარა ამა თუ იმ სახის შესწორებას, დაზუსტებას, შევსებას, ახალი ინფორმაციით აღჭურვას. ამან საშუალება მოგვცა ახლებურად გაგვეზრებინა და მიგვეწოდებინა მკითხველისთვის ლექსიკოგრაფიული მოცემულობა.

უნდა შევნიშნოთ აგრეთვე, რომ საილუსტრაციო მასალაში ზოგიერთი ლექსემა, ანდა მისი ესა თუ ის ფორმა ორგვარად, ზოგჯერ კი სამგვარად გვაქვს ლექსიკონში შეტანილი. ანალოგიურადაა დ. და ნ. ქადაგიძეების ერთტომეულშიც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ, სხვა მოვლენებთან ერთად, უკვე ქადაგიძეების დროს მოქმედებდა სიტყვებისა თუ მათი ფორმების ვარიანტულობაც, რაც, ენის უდამწერლობის

¹ ქადაგიძე – დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვათუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

² ბერთლანი – ა. ბერთლანი, მ. მიქელაძე, ქ. გიგაშვილი, წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2012;

ბერთლანი – ა. ბერთლანი, მ. მიქელაძე, ქ. გიგაშვილი, წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2013;

ბერთლანი – ა. ბერთლანი, მ. მიქელაძე, ქ. გიგაშვილი, წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი, ტ. III, თბ., 2018.

³ ამ ტომში, რომლის შექმნის იდეაც ჩვენ გვეკუთვნის, თავს უფლებას ვაძლევთ წოვათუშების ქართულისგან განსხვავებული ენა მოვიხსენიოთ იმ ტერმინით, რომელსაც ყველაზე მართებულად მივიჩნევთ.

ჩვენს ერთ ინიციატივას – დამატების სახით შეგვექმნა IV ტომი – მოჰყვა მეორე, ვფიქრობთ, პირველზე არანაკლებ შინაარსიანი და სასარგებლო, მით უმეტეს, პერსპექტივადაკარგული ენისთვის.

სოციალურ ქსელებში აღმოჩნდა საინტერესო, შემოქმედი პიროვნება, დედით თუ შვილიშვილი – ნატალია ქადაგიძე. როგორც მერე აღმოჩნდა, ბავშვობა თუშურენოვან სივრცეში გაუტარებია, თუმცა, ჩანს, დღეს მოწყვეტილია მშობლიურ გარემოს. და იქნებ სწორედ ამიტომაც განსაკუთრებულად ამაღლებულია მასში შორეული წარსულის განცდა, რასაც მოწმობს ის გარემოება, რომელმაც მეორე ინიციატივის იდეა გაგვიჩინა.

თავის ქრონიკაში ნატალია ქადაგიძემ გამოაქვეყნა თუშურენოვანი ფრაზა: **სე აგას, მაძხოს, გო ვოწმინო ლელაშლათრასო, ჭცა ლესერ სო უამტ ლელა...** ‘ბებიაჩემი, მარეხი, მხარ-კისერზე დაკიდებულს მატარებდა ხოლომე, ახლაც მინდოდა ისე სიარული...’

ამ ტექსტში ჩვენი ლექსიკოგრაფიული ყურადღება მიიპყრო შესიტყვებამ **გო ვოწმინო** ‘მხარ-კისერზე დაკიდებულს’, თუმცა განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა თვით ფრაზის ლირიზმმა, რამაც გაგვიჩინა სურვილი იმისა, რომ ლექსიკონის ამ ტომში (რომელიც თქვამისადაც უამისოდაც აღარ ეფუძნება დავით და ნიკო ქადაგიძეების ლექსიკონს, თუმცა აგებულია ახლოგურად) თუშური ენის მატარებელთაგან ჩაგვერთო ის პირებიც, ვინც მუშაობის პროცესში მოგვაწვდიდა ამა თუ იმ გამონათქვამს, ცალკეულ სიტყვას ანდა შესიტყვებას. ამით ეს ტომი, ერთი მხრივ, შეიძენდა გარკვეულწილად სახალხო ხასიათს, მეორე მხრივ, ენის მატარებლებს შესაძლებლობა მიეცემოდათ გამხდარიყვნენ ლექსიკონის თანაავტორები და ამით თავიანთი კვალი დაეტოვებინათ მასზე. პირველმა სწორედ ნატალია ქადაგიძის გზავნილმა დაიღო ბინა წინამდებარე ტომის შესატყვის სალექსიკონო სტატიაში.

ამგვარად ჩავრთეთ წინამდებარე ტომში სხვა პირთა (არა მარტო საკუთრივ წოვათუშების) მიერ მოწოდებული სიტყვები. მათ შორის და პირველ რიგში, გამოვიყენეთ წოვათუშების – კოტე ჭრელაშვილის,⁴ ელენე ქადაგიძის,⁵ მანანა ჭრელაშვილის,⁶ აგრეთვე ენის რიგითი მატარებლების – მიერ მოპოვებული სიტყვები. არაწოვათუშებიდან ადგილი დავუთმეთ ა. შიფნერს,⁷ ა. შანიძეს,⁸ თ. უთურგაიძეს, მანანა შოშიკელაშვილს... ყოველივე ამან, ჩვენი აზრით, მოგვცა ისიც, რომ საფუძველი ჩაეყარა ნახევარი სოფლის უდამწერლობო ენის ლექსიკონის ერთგვარ გამდიდრებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიკროდიდიქტური ნიშნებით, რაშიც შეიძლება ვიგულისხმოთ სოფლის სხვადასხვა უბანში წლობით დამკვიდრებული ესა თუ ის ლექსიკური თავისებურებაც. აქვე წარმოვადგენთ ამ ტომის შექმნაში მონაწილეთა სრულ ნუსხას, რომელიც 80-ის სიახლოვესაა. ეს რიცხვი, ვფიქრობთ, არცთუ ცუდი მაჩვენებელია იმ პირობებში, როცა, ქეთევან გიგაშვილის თუნდამენტური გამოკვლევის მიხედვით,⁹ 2014 წელს, როცა ეს გამოკვლევა იწერებოდა, სულ რაღაც 95 ადამიანმა იცოდა თუშური ენა ძალიან კარგად, რაც წოვათუშების 4%-მდე შეადგენს.

⁴ ჭრელაშვილი 2002 – ე. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბ., 2002.

⁵ ქადაგიძე 2009 – ე. ქადაგიძე, წოვა-თუშური ტექსტები, თბ., 2009.

⁶ ჭრელაშვილი – მ. ჭრელაშვილი, წოვათუშური პროზა, ხელნაწერი.

⁷ Schiefner 1859 – A. Schiefner, “Versuch über die Thusch-Sprache oder die Khistische Mundart in Thuschetien”: *Mém. VI Série, Sc. politiques ets.*, IX, St.-Petersbourg, 1859.

⁸ მიქელაძე 2014 – მ. მიქელაძე, ა. ბერთლანი, ქ. გიგაშვილი, წოვათუშური ტექსტები, II, თბ., 2014.

⁹ გიგაშვილი – ქ. გიგაშვილი, წოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლინგვისტური პროფილი, თბ., 2014.

დიდ მადლობას მოვახსენებთ თითოეულ მონაწილეს ამ ტომის შექმნაში!

ჩვენ ამ გამოცემაში სრული ლეგალიზება მოვახდინეთ იმ სიტყვებისა, რომლებსაც, ჩვენივე კვლევების მიხედვით,¹⁰ ანლაუტში გააჩნიათ თავისუფალ შემართვიანი (თავისუფალი) ხმოვნები და რომლებიც პირობით აღვნიშნეთ ~ სიმბოლოთი (ჟუც 'ისეთი!.. რატომ ისეთი არ!..' გაკვირვება-გაოცების გამომხატველი სიტყვაა; მაგ., ქასტლარათხო, მს წითელინო ოშტუ ჟუც ბჟარდახე თხო, მე ჰა გაბედოდორ ოგუხ დაჰ დალარ! – გვეჩქარებოდა, მაგრამ წითლოვანის ხეობა რატომ ისეთი არ დაგვხვდა, ვილა გაბედავდა მასზე გადასვლას, მის გადალახვას! უხე კავშ. 'რაც'. მაგ., უხე დივო, ო დაცო – რასაც დათეს, იმას მოიპო);

ვისარგებლეთ რა იმ გარემოებით, რომ თუშური ენა უდამწერლობა და არაფერი გვაგაღებულეს ლექსიკა განვადასოთ სალიტერატურო და არასალიტერატურო შრეებად, ნუსხაში შემოვიტანეთ ლექსემები ექსტრალინგვისტური შრეებიდანაც.

ერთ შემთხვევაში ესენია სიტყვები ე. წ. შეწოვნილი ბგერებით (თანხმოვნებით), რომლებიც პირობით აღვნიშნა ~ სიმბოლოთი (წაფ 'მოდი!' ძროხის მისაპატიჟებელი, მისატყუებელი სიტყვაა; მაგალითად: წაფ, ნიშო, წაფ! – მოდი, ნიშო, მოდი!). საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავის დროზე არც აკ. შანიძეს დაუტოვებია უყურადღებოდ შეწოვნილი არტიკულაცია ქართულ სამეტყველო სივრცეში; ვგულისხმობთ მის შენიშვნას ნწ ნაწილაკთან დაკავშირებით.¹¹

მეორე შემთხვევაში იგულისხმება სიტყვები ე. წ. || არხით არტიკულირებული ბგერებით (||ცჰ ნაწ. არაჰ; გამოხატავს უარყოფას: ცომი ვალო? – ||ცჰ! – არაფერს შეჭამ? – არაჰ!).

ლექსიკოგრაფიულმა მუშაობამ უდამწერლობა ენის მიმართულებით გვაჩვენა ისიც, რომ ლექსიკონში წარმოდგენილი თვალსაჩინოებები მხოლოდ მსუბუქი მინიშნებაა იმაზე, რასაც სინამდვილეში „მოიმოქმედებენ“ სიტყვები ცოცხალი მეტყველებისას, გამოხატულების სიღრმის თვალსაზრისით, და რომ თუნდაც ფოლიანტური ლექსიკონებით წარმოდგენილი თვით დამწერლობიანი, მაგრამ აწ დაკარგული ენებიც კი იმის ნახევარსაც არ წარმოადგენენ, რასაც სიცოცხლეში შეიცავდნენ ისინი თავის თავში.

დამამთავრებელ ტომზე მუშაობამ გამოავლინა მანამდე ჩვენთვის უცნობი ზოგიერთი ლინგვისტური დეტალი, კერძოდ, მეტყველებაში სხეულის რომელიმე ასოს (ნაწილის) სახელის ხმარებისას შესაბამისმა თუშურენოვანმა სიტყვამ პარალელურ რეჟიმში შეიძლება გამოიყენოს როგორც თვით სხეულის ნაწილის, ისე მისი მატარებლის (პატრონის) კლასის მხ. რიცხვის ფორმანტი. მაგალითად, კომპოზიტს ტოტ-ქოკი 'ხელ-ფეხი', რომელიც მიეკუთვნება კატეგორიას *Pluralia tantum* (მარტო მრ. რ. ფორმები), ერთი მხრივ, გააჩნია საგანთა კლასის მაჩვენებელი მ- ფორმანტი: ჰო ტოტ-ქოკი დაყაღლნო / დაყაღლინო! – შე ხელ-ფეხგამხმარო!), მეორე მხრივ, ზოგიერთ შემთხვევაში პარალელურად შეიძლება გამოყენებული იქნეს ვერსიაც, სადაც საგანთა აღმნიშვნელი მ- ფორმანტის ნაცვლად ჩნდება კლასის მაჩვენებელი მხ. რიცხვისა გ-: ჰო ტოტ-ქოკი ვაყაღლნო / ვაყაღლინო! (ასეც ეტყვიან მამაკაცის კლასის წარმომადგენელს).

¹⁰ Бартишвили 1998 – А. Бартишвили: Предпосылка презентации т. н. свободной артикуляции гласных тушинского языка: Вопросы изучения русского языка и литературы, Владикавказ, 1998; Bertlani 2010 – А. Bertlani, Description of onephotetic detail in English and Tush languages: TeSaU Journal of Caucasian Studies, Telavi, Georgia, 2010; ბერთლანი, 2012 – ა. ბერთლანი, თუშური ენის ფონეტიკა და ფონოლოგია, თბ., 2012; ბერთლანი 2015 – ა. ბერთლანი, ხმოვანთა ხასიათისა და გენეზისის ზოგადფონეტიკური საკითხები თუშური ენის მქსიერების მაგალითზე (გზის მონახაზისთვის ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე), თბ., 2015 და სხვ.

¹¹ შანიძე 1976 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1976 – 622.

ამ ტომზე მუშაობის წყალობით მოპოვებული ლექსიკოგრაფიული მასალიდან გვინდა გამოვყოთ ერთი მაგალითი იმისა, თუ რა ლინგვისტური (სამეტყველო) თავისებურება ახასიათებს თუშურ ენას.

ცინი ძარჩი-მეხარ – ამ ფრაზეოლოგიური ქარაგმით გამოხატეს თუშური ენის მატარებლებმა სათქმელი, რომელიც ქართულ ენაზე დაახლოებით ასე შეიძლება გადმოვცეთ: *‘ფიქრით ცინების შენება და ნგრევა, ანუ გამოუვალ ფიქრებსა თუ განცდებში ყოფნა ამა თუ იმ ცხოვრებისეული პრობლემის გამო’*. ამ შესიტყვებას, როგორც წესი, ქალები იყენებენ და გამოდის, რომ, თუ წოვათუშთა წინაპარი ქუდოსნები კაცური სიგულადითა და იარაღით იცავდნენ თავიანთ ცინე-სახლებს მთელი დაუწერელი ისტორიის მანძილზე, წინაპარი მანდილოსნებიც იმავე ცინებს უტრიალებდნენ თავიანთი ქალური გულითა თუ ფიქრით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – ფიზიკურადაც, რასაც წოვათუშთა ქართულენოვანი პოეზიაც გვიდასტურებს:¹²

ცოლს ეტყვის გიგის ლაგანი:
წამალ ამიწყე ხანხედა,
ტყვია თუ შემოგაკლდება,
დილი აიჭერ ტანხედა,
თუ ლეკებს წაგაყვანინო,
წვერმც ნუ მესხას ყბაზედა...

იმ პირობებში, როცა ნებისმიერი ენა, როგორც დიდი ორტეგა ბრძანებს, ყოველქამიერად და გამოდმებულად აშენებს და იქვე ანგრევს თავის თავს,¹³ ვერც ოდეს შეძლებს ადამიანი იმის ზუსტ განსაზღვრას, კიდევ რამდენი სიტყვა დარჩენილა ლექსიკოგრაფთა ყურადღების მიღმა, მით უფრო, თუ ენა უდამწერლობაა. 30 წელიწადზე მეტი (1685-1716) აგოგმანაო სულხან-საბა ორბელიანი თავისი უკვდავი „სიტყვის კონა“.¹⁴ ჩვენ, თუშური ენის ლექსიკონზე მომუშავე ჯგუფს, გვეძლეოდა 1 წელიწადი 1 ტომზე, მეტი არა! და, თავისთავად, ჩვენთვის იოლი არ იყო ეს მუშაობა – იმის გათვალისწინებითაც, რომ ლექსიკონის ენა უდამწერლობაა, იმის გათვალისწინებითაც, რომ თავისი არსებობის ბოლო წუთებს თუ არა, ბოლო დღეებს ითვისებს იგი ზეაქტიური ინტერფერენციისა თუ ენის გადართვის შეუქცევად პირობებში. ანდა თვით სულხან-საბას, კეთილსინდისიერებით გამოჩნეულ პიროვნებას, ჰქონდა კი იმის უტყუარი განცდა, რომ თავისი ლექსიკონით ბოლომდე ამოწურა ლექსიკური საბადო ქართული ენისა?

უდამწერლობა ენის თითოეული სიტყვა, დღემდე ჯერ კიდევ დაუფიქსირებელი, პოეტური სტრიქონივითაა, რომელიც, არავინ იცის, როდის ეწვევა ლექსიკოგრაფს... როცა ამ ფრაზას ვწერდით ჩვენი ლექსიკონის პირველივე ტომის ბოლოში, ვთვლიდით, რომ ვწერდით ნახევრადხუმრობით. ახლა ვხედავთ, რომ ეს გამონათქვამი ლექსიკოგრაფიულ დებულებადაც შეიძლება გამოდგეს: სულ ახალი და ახალი სიტყვების მუდმივ მოლოდინში გავატარეთ ტომებმორისი მონაკვეთები. ეს უწყვეტი და ულევო პროცესი ყოფილა, რომლის ბოლოც, არავინ იცის, სადაა. ჩვენ, ლექსიკონზე მომუშავე მუდმივი ჯგუფის

¹² ჭრელაშვილი 1962 – კ. ჭრელაშვილი, თუშური პოეზია, საბჭოთა საქართველო, თბ., 1962 – 32; ლექსი სულ პირველად გამოაქვეყნა ივ. ბუქურაულმა ჯერ კიდევ 1913 წელს (იხ. „ძველი საქართველო“, ტ. II, 1913 წ., განყ. 5, გვ. 1).

¹³ X. Ортега-и-Гассет, Избранные труды, Москва, 2000 – 671-672 .

¹⁴ სულხან-საბა ორბელიანი, 2014: <http://www.slideboom.com/presentations/1300078>

წევრები, დაუკმაყოფილებლობისა და სინანულის შეგრძნებით ვხურავთ ამ ბოლო ტომს, კალმებს კი ჯერაც არ ვყვით: პირობით თუ შეიძლება ეწოდოს ამას ლექსიკონზე მუშაობის დასრულება. ჩანს, თაობები სჭირდება ლექსიკური არსენალის სრულ ლეგალიზებასა თუ დოკუმენტირებას. ამიტომ ესტაფეტას ჩვენს მემკვიდრეთ გადავცემთ: მოხარულები დაგრჩებით, თუ კვლავაც მიუტრიალდება ვინმე ამ მძიმე, მაგრამ კეთილშობილურ საქმეს.

დაბოლოს, თავის დროზე პოეტურად გაუაზრებია და შეუფასებია ლექსიკოგრაფიული შრომის მთელი სირთულე სულხან-საბას თანამედროვეს, რუს ფილოლოგს, თ. პროკოპოვიჩს, რაც ერთობ ნიშანდობლივად მივიჩნით და საინტერესოდაც მკითხველისთვის:¹⁵

თუკი, მოყვასო,
შთაფარდა ვინმე ხელში ჯვალათის,
და, უბედური უბედურთაგან,
ელის განაჩენს,
ნუ მიავლენენ სამჭედლოში მძიმე შრომისთვის,
არ უკრან თავი მაღაროთა ბნელ ჯურღმულებში...
დაე, აკეთოს
სიტყვის კონა:
თვით კმარ სატანჯველს
შეიცავს უკვე თავის თავში
ეს ერთი შრომაც!

მოკლედ, ჩვენი ჯგუფი IV ტომით გამოქმნიანა „ჯანღებში ელვად გარდატეხილ“¹⁶ იმ წინაპართა შფოთვას, ვისი კონკრეტული ხმებიც ესმოდა ქალბატონ მ. მიქელაძეს, როცა დ. და ნ. ქადაგიძეთა ლექსიკონში სურდა ჩახედვა და კრძალვით ვერ იყურებოდა.

უდამწერლობო ენის სიტყვების სამეტყველო სიცოცხლეს დღეს მკაცრად განსაზღვრავს გააქტიურებული გლობალიზაცია და, როგორც ჩანს, თუნდაც მცირე შეღავათის გარეშე. ამ პირობებში ჩვენი ჯგუფის წევრებმა, ლამის მთელ სათემოსთან ერთად, ლექსიკოგრაფიული უკვდავება შევძინეთ იმ სიტყვებს, რომელთა „ამოყვანაც მოვასწართ გემზე“. თუკი დიდი ხნის გარდასულ წინაპრებთან სიტყვიერი კომუნიკაციის მ. მიქელაძისეულ ვერსიას გავითავისებთ, შეგვიძლია სიამაყით განვაცხადოთ, რომ იმდენ წინაპარს შთავებრეთ ხელახალი სიცოცხლე, რამდენი სიტყვაც განვათავსეთ წინამდებარე კონაში – დაახლოებით 1.550.

მართლა უსასრულო აღმოჩნდა დღემდე დაუფიქსირებელ იმ სიტყვათა რიგი, პოეტურ სტრიქონებს რომ შევადარეთ ადრე. მაგრამ, როგორც ითქვა, მკაცრად მოზომილია საგრანტო პროექტით გათვალისწინებული დროც და, ასე გასინჯეთ, თვით ჩვენი სიცოცხლეც. ამიტომ: აქ ვსვამთ წერტილს ჩვენ, რათა ხვალ თუ ზევ სხვებმა გააგრძელონ იმ სიტყვების ძიება, მიუვალ კლდეებში ჩარჩენილ ბატკნებს

¹⁵ თავისუფალი თარგმანი ა. ბერთლანისა.

¹⁶ წოვათუში პოეტის, ი. ლონგიშვილის იტყვებია.

რომ გვაგონებენ.

ბოლო ნთქვამად კი ამას ვტოვებთ:

ყველა, ვინაც სიცოცხლის ბოლომდე ამ ენაზე იმეტყველა, მეტყველებს და კვლავაც იმეტყველებს, გმირია. მადლობა თითოეულ თუშს, ვინც კი თავი დადო და ჩვენამდე მოიტანა ესა თუ ის სიტყვა ან სიტყვის ნატეხი, დღემდე სასწაულად გადარჩენილი.

გულისყურითა და მადლიერებით მივიღებთ მკითხველთაგან საქმიან შენიშვნებს თუ რჩევებს. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ ელფოსტით arsen.bertlani@gmail.com ანდა fb-ით Arsen Bertlani

არსენ ბერთლანი

ტომის შედგენაში მონაწილე პირთა სახელების შემოკლებანი
(ფრჩხილებში მითითებულია გვარების თუ შურენოვანი ფორმები)

1. ა. ბარ. – აბრამ (ჭამპო) ბართიშვილი (ბერთლან)
2. ა. ბ. – არსენ ბერთლანი (ბერთლან)
3. ა. ბუქ. – აბრამ ბუქურაული (ბუქურაულან)
4. ა. გ. – ავთანდილ გარსევანიშვილი (გარსუნან)
5. ა. მ. – ალექსი მიქელაძე (ვაჟგრან)
6. ა. ქ. – ანიკო ქადაგიძე (შალფურან)
7. ა. „წ“. – ანსამბლი „წოვათა“
ანსამბლის წევრები არიან:
ასმათ ლონგიშვილი (ლუმჯღლარან)
ლელა საგიშვილი (სამგენან)
მერი ჯინოშვილი (ჯინგრან)
ციცინო დინგაშვილი (დჭგრან)
8. ა. ხ. – არსენ ხადიშვილი (ხამდღლარან)
9. ბაბ. ბ. – ბაბუღია (ბაბუცა) ბართიშვილი (ბერთლან)
10. ბ. ბ. – ბახვა ბახუსი (ბახინოძე) (ბამხურან)
11. ბ. ლ. – ბაბუღია ლავაზიძე (ლავზურან)
12. ბ. მ. – ბაბუღია მჭედლიშვილი (მჭედლოურან)
13. ბ. ც. – ბაბე ცისკარიშვილი (ბელდურან)
14. გ. ქ. – გაბო ქავთარიშვილი (ქაჟთარღლარან)
15. დ. ა. – დავით არინდაული (აჟქრან)
16. დ. დ. – დავით დინგაშვილი (დჭგრან)
17. დ. მ. – დარია მიქელაძე (ვაჟგრან)
18. ე. ბ. – ევა ბართიშვილი (ბერთლან)
19. ე., ვ. ჩ. – ელენე და ვარდი ჩაჩქანიშვილები (ჩაჩქანან)
20. ე. თ. – ესმა თალარიშვილი (თალარან)
21. ე. ი. – ეთერ იტოშვილი (იტღლარან)
22. ე. მ. – ეთერ მიქელაძე (ვაჟგრან)
23. ევ. უ. – ევა უმარაული (ბლუჯგრან)
24. ე. უ. – ესმა უმარაული (ბლუჯგრან)
25. ე. ქ. – ელენე ქადაგიძე (ამღლარან)
26. ე. წ. – ელდარ წკიპოშვილი (წკიპრან)
27. ვ. ქ. – ვასო ქოქორიშვილი (ქოქრან)
28. ვ. ჩ. – ვარდი ჩაჩქანიშვილი (ჩაჩქანან)
29. თ. ბ. – თეკო ბართიშვილი (ბერთლან)
30. თ. მ. – თამარ მახაბლიშვილი (მამჩრან)

31. თ. ნ. – თინა ნაკუდაშვილი (ნაუკდალარძ)
32. თ. უ. – თეკლა უშარაული (ბლუჯვრძ)
33. თ. ჯ. – თინა ჯინოშვილი (ჯინძრძ)
34. ი. ბ. – ივანე ბუქურაული (ბუქურაულძ)
35. ი. ლ. – იოსებ ლონგიშვილი (ლუმგლარძ)
36. ი. მ. – ილია მიქელაძე (ვაუგრძ)
37. ი. ქ. – ივანე ქავთარიშვილი (ქაუთარლარძ)
38. ი. ჭ. – იოსებ ჭარელიშვილი (ჭარლოლარძ)
39. კ. ვ. – კოტე ვეშაგურიძე (ვამშკურლარძ)
40. კ. ჭ. – კოტე ჭრელაშვილი (აჭყურძ)
41. ლ. ა. – ლამარა აბაშიძე (დამქრძ)
42. ლაზ. ბ. – ლაზარე ბართიშვილი (ბერთლძ)
43. ლ. ბ. – ლევან ბართიშვილი (ბერთლძ)
44. ლ. დ. – ლევან დურმიშხანიძე (ოდურგელარძ)
45. ლ. ლ. – ლამარა ლავანიძე (ლავნურძ)
46. ლ. მ. – ლევან მიქელაძე (ვაუგრძ)
47. ლ. ყ. – ლეილა ყინლაშვილი (დაქრძ)
48. ლ. ც. – ლეილა ცისკარიშვილი (მეითლარძ)
49. მ. ბ. – მარიამ ბერთლანი (ბერთლძ)
50. მ. ბუქ. – მარიამ (მანანა) ბუქურაული (ბუქურაულძ)
51. მ. თ. – მიტო თორლოშვილი (თორლარძ)
52. მ. მ. – მაყვალა მიქელაძე (ვაუგრძ)
53. მ. ნ. ბ. – მერი ნათელა ბაძოშვილი (ბაძრძ)
54. მ. უ. – მანანა უჯირაული (თეძრძ)
55. მ. უშ. – მარიამ (მალუცა) უშარაული (ჯემლარძ)
56. მ. ყ. – მარიამ ყინლაშვილი (დაქრძ)
57. მ. ც. – მარინა ცისკარიშვილი (ვანლარძ)
58. მ. ჭ. – მანანა ჭრელაშვილი (აჭყურძ)
59. მ. ჯ. – მერი ჯინოშვილი (ჯინძრძ)
60. მზ. ჯ. – შინა ჯინოშვილი-მეშველიანი (ჯინძრძ)
61. ნ. მ. – ნინო / რახილი მახაბლიშვილი (მამრძ)
62. ნ. უ. – ნატაშა უშარაული (ბლუჯვრძ)
63. ნ. ქ. – ნატალია ქადაგიძე (ამლარძ)
64. ნატ. ქ. – ნატო ქადაგიძე (ამლარძ)
65. ნ. ყ. – ნინა ყინლაშვილი (დაქრძ)
66. პ. მ. – პატა მახაბლიშვილი (მამრძ)
67. პ. უ. – პეტრე უშარაული (ბლუჯვრძ)
68. რ. ო. – რეზო ორბეთიშვილი (ორბეთლარძ)

69. ს. გ. – სიმონ გარსევანიძე (გარსუნა)
70. ს. ლ. – სტეფო ლაგაზიძე (ლაგზურა)
71. ს. მ. – საბედა (არა) მახაბლიშვილი (მაძრა)
72. საბ. მ. – საბედა (ცაბო) მახაბლიშვილი (მაძრა)
73. ტ. ო. – ტასო ორბეთიშვილი (ორბეთლარა)
74. ტ. ც. – ტარიელ ცისკარიშვილი (ამუშნალარა)
75. ფ. ბ. – ფატმა ბართიშვილი (ბერთლა)
76. შ. ა. – შოთა არინდაული (შოაქრა)
77. შ. უ. – შორენა უშარაული (ბლუჯრა)

1. ა. შ. – აკაკი შანიძე
2. გ.-ფ. – გაჟა-ფშაველა
3. თ. უთ. – თედო უთურგაძე
4. მ. შ. – მანანა შოშიკელაშვილი
5. A. Sch. – Anton Schiefner
6. ხალხ. – ხალხური
7. ხმ. – ხმა

აბირბა|დ|ადლნო, აბირბა|დ|ალინო **abirba|d|ajlnô, abirba|d|alinô** მიმლ. прич. particip. 1. აბირბებული, მარილის ჭამის ხასიათზე (სხროზე) მოსული (ცხვარი, ძროხა ...) **захотевший поест соль** (баран, корова ...) **sheep or cow feeling like to eat salt.** აბირბადადლნო ჟე მაქს ღუდტგერ სო – მარილის ჭამის ხასიათზე მოსულმა ცხვარმა კინალამ გადამიარა. გალატ. перен. fig. 2. რამის კეთების ხასიათზე, ხალისზე მოსული **человек, захотевший заняться делом** **being enthusiastic, being on the mood / eager to do smth.** ნიე წემბოს ნარ-ეკლანრენა, შრომენ აბირბადვალწოვ – გზას ვწალდავ ნარ-ეკლიანსა, საშრომლად აბირბებული (ა. ბ., ვ.-ფ.). შღრ. ср. comp. **ახუხრბა|დ|ადლნო axuxrba|d|ajlnô.**

[ჰ]ადადა[დ] [h]adada[j] შორისლ. межд. inter. ხმარობენ შემცივნებისას **употребляют при неожиданном ощущении холода** **is used when feeling cold.** /ჰ]ადადადნო! წარას დეფხლათვად – /ჰ]ადადაო! ცეცხლთან ვთბებით (ა. მ.).

ადმინლობ დ **adminlob d** ადამიანობა **человечность** **humanism, humanity.** სტაკ-გო ადმინლობ დეწ ხილწ! – კაცს ადამიანობა უნდა ჰქონდეს (ბ. ბ.)!

ადრასტო|დ|არ **adrasto|d|ar** გრდმ. აგლბ. перх. пренебр. trans. **By m. F.. შემოლაწუნება (შემოულაწუნებს) дать пощёчину** **slapping.** გუ ზც მაჩუენი, მოლუწ ადრასტოდო შადრ დადას! – ნახავს ახლა მაჩო (კაცის სახელია), როგორს შემოულაწუნებს თავისი მამა!

ავად **avaj** შორისლ. межд. inter. გამოხატავს მწვავე მოულოდნელ ტკივილს **выражает острую неожиданную боль** **expresses sudden, acute pain.**

დავ|დ|აკარ **d|av|d|akar** გრლუფ. непрх. intrans. უკვალოდ გაქრობა (გაქრება), გადაკარგვა **исчезнуть, пропасть бесследно** **to disappear without trace / vanishing.** ლეკი ბავბადკნორ – ლეკები გადაკარგულიყვნენ (ი. ბ.).

დავ|დ|აკინო **d|av|d|akinô** უკვალოდ გამქრალი, გადაკარგული **исчезнувший, пропавший бесследно** **smth disappeared, vanished.** ი ვად ფჰეჰ სო დაკოდაშ ში გორ და უკვალოთ დავდაკინო – ამ ჩვენს სოფელში, რაც მახსოვს, ორი გვარია უკვალოდ გამქრალი.

დავ-მარცწ **d|äv-marcĩ** აფრაკი, თავქარიანი, მოსულელო **легкомысленный, придурковатый** **empty headed, silly.** ე იასჟ ვავ-მარცწ ლეკ ვალრ! – ეს იასე აფრაკი თუა (ბ. ბ.)!

დ|ავ-სავი **d|äv-sävī** 1. არცთუ მძიმე, მომსუბუქო, შედარებით მსუბუქი **лѣгонький light-weight**. **აღმადრთავს მე ყოჩღათ ლელრალო, სად დონნ დავ-სავი** თადღი გუდხენას – აღმართხე რომ კარგად ევლო, ჩემს ცხენს შედარებით მსუბუქი ხურჯინები ავკიდე.

დ|ავარ **d|āgar** გრლუგ. **непрх. intrasn.** 1. შერეულ მდგომარეობაში ყოფნა (არის) **БЫТЬ В СМЕШЕННОМ СОСТОЯНИИ being among, being the member, being constituent part of smth.** ე ჟაბლო სენს ბაუგუ – ამ ძროხაში (ნახირში) ჩემიც ურევია. 2. არეულ, დაქსაქსულ მდგომარეობაში ყოფნა (არის), უწესრიგოდ, უსისტემოდ ყოფნა, ცხოვრება (არის, ცხოვრობს) **БЫТЬ В ХАОТИЧНОМ СОСТОЯНИИ being disordered, live in the mess.** **ვორჯახ, ცჰადნ-გეჩოხ ცო დაგუგე სო-და დეკინო ჩუხუდა** – ხორხში აღარ ჩანს ბატკანი, აქა-იქ დაქსაქსულია (ა. მ.); ე მიხო უ ბჰან იშტ ვაუგუ, ევო! – ეს მიხო რატომ სულ ასე უწესრიგოდ ცხოვრობს, კაცო!

ათო ვბ; დღ **ātō vb**; jd ნათლია **крѣстный отец, крѣстная мать godparent**. სე ათუდგო **ზორადში ვეწეშ ხილწლათრასო** – ჩემს ნათლიას ძალიან ვუყვარდი [ხოლმე]. შღრ. **ср. comp. ადთაჟო ajta'ō.**

-ათ **-at** სუფიქსია, ჩამოყალიბებული ქართული ვითარებითი ბრუნვის **-ად -ad** ნიშნისგან და იხმარება **-ღეშ -yeš** სუფიქსის პარალელურად **суффикс, сформировавшийся от показателя -ад -ad грузинского обстоятельственного падежа и употребляющийся параллельно с суффиксом -ღეშ -yeš suffix formed from the -ად -ad mark of Georgian adverbial case and is used parallelly with the suffix -ღეშ -yeš**. სე დადას, მიხოს, რუსლათა'ე, თადორლათა'ე **მჰარლ ღაშიშ დორ ამბუდ, ბუდღეშ მან მაგნიშ კერბადორ** – მამაჩემი, მიხო, რუსულად და თათრულად (აზერბაიჯანულად) საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა, ქართულად კი ლექსებსაც თხზავდა.

დ|ათხ|დ|არ (დ|ეთხ|დ|არ) **d|atx|dar (d|etx|dar)** გრღმ. **прх. trans.** 1. ატირება (ასატირებს) **заставлять плакать to make someone cry**. ე ბდრიგ ვაშბიწ დათხოდო – ეს ბავშვები ერთმანეთს ატირებენ. 2. დატირება (დასატირებს) **оплакивать to mourn**. სე ნანას ბჰან შარი ქოთხოლ დათხოდო – დედაჩემი სულ თავის გაჭირვებას ტიროდა. 2. გადატ. **перен. fig.** რამის დაკვრა დიდი ოსტატობით (დასუკრავს) **сыграть на каком-либо инструменте с большим мастерством to play some instrument masterly**. **მადრკეს გარმოწ პირდაპირ ჰალ დათხოდო!** – ასე მქონდა გაგებული – მარუკა გარმონს პირდაპირ ატირებს! – ასე მქონდა გაგებული (ე. თ.).

ად **aj** ისა [რა ჰქვია], ამე [რა ჰქვია], ემე [რა ჰქვია], ისამე [რა ჰქვია], ისემე [რა ჰქვია] эт [как его], эт самое [как его] oh gosh [what is it called] (გამოიყენება იმ დროს, როცა მოსაუბრე გონებაში ეძებს საგნის ან მოვლენის ყველაზე ზუსტ შესატყვისს; ირიბ ბრუნვაში იძენს ან- **an-** ფუძეს, ხოლო მრ. რიცხვში აბ-, აან- **ab-**, **ajn-** ფუძეს употребляется в момент, когда говорящий в уме ищет самое точное соответствие предмета или явления; в косвенных падежах приобретает аნ- **an-** основу, а во мн. ч. основу аბ-, აან- **ab-**, **ajn-**; is used when the speaker is searching in mind the most exact equivalent for certain subject or phenomenon; in indirect case it acquires ან- **an-** root and in plural acquires აბ-, აან- **ab-**, **ajn-** roots. მაგნი ანი დათლარ, ლე ტაფენმაქ, ლე სიპენმაქ – პური ამეზე [რა ჰქვია] ცხვებოდა, ან ტაფაზე, ან სიპზე (ევ. უ.); მაშხალ ჰკაორ, ბახეჩო ხადრხეს მაქ ად ჰარჩმო'ერ, ბანდიშდები, ცეცხლს წაუ... – ჩირაღდანს ანთებდენ, გრძელ ხარხასს ზედ რამეს ახვევდენ, ჩვრებს და ცეცხლს წაუ... (ბ. მ.).

ადანრქ **ajnārē** იმიანი [რა ჰქვია] с этим [как его] with smth/having smth [what is it called]. ცჰა ნაყბისტ ზორადშ ადანრქ დარ თხოგო, დლეტარენე, ოგუს დლეტი დიენ თხო, ... ჰალ ხაყინ თხო, ო ნშადჰ ეჯინათხ – ერთი ამხანაგი ძალიან იმიანი გვყავდა, ოინებიანი (თაღლითი), იმან ოინები გაგვიკეთა, ... გავიგეთ და ის გავაგდეთ (გავრიცხეთ ჯგუფიდან) (თ. ჯ.)

* დადლ[ი] (დალიგ[ი]), -დადლ[ი] (-დალიგ[ი]) **d|ajl|î** (**d|alig|î**), **-d|ajl|î** (**-d|alig|î**) ნაწ. част. part. ლამის, კინალამ вот-вот, почти, чуть ли не nearly, almost. ე ჭიგო აჰ დადლო დოჟან (აჰ დოჟანდადლ[ი]) – ეს ჭიგო ლამის წაიქცეს; მინაკო ყაღეს აჰ ვოჟანდადლ[ი] (აჰ ვადლ[ი] ვოჟან), დოჭგო ვალიგ[ი] – მინაკო სიბერისგან ლამის წაიქცეს, ჯოხსლა უჭირავს.

ადტნო, ატხადლნო დ **ajtnō, atxajlnō** დ ირგვლივ გამეფებული სრული სიჩუმე воцарившаяся кругом полная тишина silence spread all around. დუყმაოდე დარ, ჭშალო სიცხ ლათერე, ოშტუ ატხადლნო დარ ფჰეჰ, დაკლავრა, ისე სუდრელ ცო დახეგინო – შუადლე იყო, მაგარი სიცხე იდგა და ისეთი სიჩუმე გამეფებულიყო სოფელში, იფიქრებდი, აქ სულიერი აღარავინ ცხოვრობსო.

ადფშეს **ajpšex** ზმნს. нареч. adv. ტყუილად, ამაოდ зря, напрасно in vain, to no purpose. ადფშეს ღო სტეფუნინ, იცხუს ჰო ცჰა ჩო ცო ეჯობო – ტყუილად წახვალ სტეფოსთან, ეგ შენ ერთ ბეწვს არ მოგიგლეჯავს (არაფერს გაიმეტებს).

[ჰ]ადშტადნო **[h]ajštajno** ზმნს. нареч. adv. ასე[ო] так [мол] thus, like this. (გამოიყენება)

ნება სხვისა ნათქვამის გადმოცემისას употребляется при передаче чужой речи is used to express / transmit other people's speech. [ჰ]ამოტანო ვიბლნოო სო დადას, მე ქე დაჰ დოხკწო ტათებ ცო დაყითმაკ სო, მა სტენალანო – ასე დაებარებინა მამას ჩემთან, [რომ] სანამ ცხვარს არ გაყედი, ფულს ვერ გა- ვუგზავნი, ნუ დაელოდებო.

დაკინო **d|ak̄inō** მიმლ. прич. particip. 1. დამწვარი сгоревший burnt. ე ბაკინო გომურ ჰანაკ ბალო? – ეს დამწვარი გომური ვისია, ნეტავი? 2. ძუნწი, წყუწი, სიძუნწისგან, სიწყუწისგან დამწვარი скупой, скупец mean, greedy, voracious. ის ოშტო ვაკინო ვა, მე გაგო ლერკო – ეგ ისეთი ძუნწია (წყუწია), რომ კვერცხსა კრეჭს (ხალხ.) (მ. ჭ.).

* ალო¹ **alō**¹ ბედნიერი счастливый happy.
ალო ხილოარ **alō xil'ar** გრლუგ. непрх. intrasn. ბედნიერად, ბედნიერებაში ყოფნა (არის, იქნება) БЫТЬ СЧАСТЛИВЫМ being happy. ალო დაციშო, მოლო სიმინდ ლათო შუგო! – ბედნიერები ხართ, როგორი სიმინდი გიდგათ!

ალალა[ღ] **alala[j]** შოისლ. межд. inter. ვაი! Ой! Ух! Alas! (ხმარობენ მწვავე ტკივილის შეგრძნებისას употребляется при ощущении острой боли is used when feeling bitter / acute pain). ალალა[ღ], დოჰ, ტუფლონოქ ქოკ ოთბინცა სო ბარწიო ქოკმაქ! – ვაი, ქალო, ტუფლიანი ფეხი დამადგი აკი შიშველ ფეხზე!

ალაო: ალაო ბალო, ალუბალო ბდ **alaō: alaō bal, alubal** bd ალუბალი вишня cherry. შო ალაო ბალო (ალუბალო) ჩამლო ბა – თქვენი ალუბალი გემრიელია.

* დალარ¹ **d|alar¹** გრლუგ. непрх. intrans. 1. ჭერა (უჭირავს, უკავია) держать to hold. 2. ქონა (აქვს) иметь to have.

* დალარ² **d|alar²** გრლუგ. непрх. intrans. ვალის ქონა (აქვს, მართებს) иметь долг to have somebody's debt.

დალარ³ (დ|ოც|დ|არ) **d|alar³ (d|o'|d|ar)** გრლმ. перх. trans. მოყვანა (მოიყვანს) привести, приводить кого-либо to bring (will bring). დადას ლაშომოქ ქე დალო – მამას მთიდან ცხვარი (ფარა) მოჰყავს.

ალეკ: ალეკ დაციშო **alek: alek d|acišū** ნეტავი ერთი [თქვენა]! Ладно, перестань! never mind! (მოწოდებაა უდარდებლობისკენ призыв к безмятежности appeal / call for carelessness). ალეკ დაციშო, ლო კმატმაქს თასბალორქდალა იშტ მოჰ დარდბალაშო! – ნეტავი ერთი [თქვენა], ცხენის კლდეზე გადავარდნის გამო ამდენს როგორ დარდობთ!

ალხაჯ **alxaž** jx ცხვრის დიდ ხანს ნადგომი ადგილი ღია ცის ქვეშ место под

открытым небом, где долгое время стояла отара a place in the open air where the sheep stayed for long. **ეე ბარე აჰ დუმსხედოლონ ლარჭიშ ლადოღსქ ლამხურ-ჩკე მაჯონ ალხაჯ** – ცხვრის ბარში ჩამონაცვლების შემდეგ შავად ღარჩა დიდი ნაწილდარი ლამაზურში. შლრ. სრ. comp. **ნაწილარ naçidar**.

* **დ|ალარ d|alar** გრლუგ. непрх. intrans. 1. [გ]დება რამისა რამეში (დევს, გდია) **лежать в что-л. (о предмете) to have something put in, placed in.** **ჯიბე ნეკ დალარ სოგო** – ჯიბეში დანა მიდევს. 2. მძიმე ცხოვრებისეულ პირობებში ყოფნა **БЫТЬ В ТЯЖЁЛЫХ ЖИЗНЕННЫХ УСЛОВИЯХ being (living) in hard conditions.** **მოჰ დაუბკუ ე ნახ!** – როგორ [მძიმე პირობებში] ცხოვრობს ეს ხალხი! 3. რამის კეთება მთელი თავდავიწყებით, მთელი მონდომებით (აკეთებს), ჯაჯგური (ეჯაჯგურება) **самозабвенно делать что-л. being very busy in work, to do sth with great enthusiasm.** **სტენახ ვალორჰი ისი?** – რას აკეთებ მანდ მთელი თავდავიწყებით?

* **ალ|დ|ადლნრ, ალ|დ|ალინრ al'd|ajlnô, al'd|alinô** შიმლ. прич. particip. 1. ნათქვამი **что-либо сказанное uttered, spoken words.** **ლაჭყოშ ალდადლნრ დომ ჰალ გუ-დალქ** – ფარულად ნათქვამი სიტყვა გამომსკარაფდა; **წყე ჰალარ ალდადლნრ დომ დუხ ცო დერწოდმაკეკ ჰონ** – ერთხელ ნათქვამ სიტყვას უკან ველარ და-აბრუნებ. 2. გადმოცემით თქმული **пересказанное кем-то uttered speech.** **დუტ ქიქლოქ ალდადლნრ უმ და სოგო ჰოგრ დეფცუენბ** – ბევრი ძველთაგან გად-მოცემით თქმული რამე მაქვს შენთვის მოსაყოლი.

* **ალ|დ|ალარ (ლევე|დ|ალარ) al'd|alar (lev|d|alar)** გრლუგ. непрх. intrans. 1. ფარულად ცუდი რამის თქმა ვინმეზე (ითქმის) **сказать о ком-то по секрету нечто плохое say smth bad secretely about someone.** **ე მაჰონ წყე უნახ ალდალირ** – ამ გოგონზე ერთხელ ცუდი რამ ითქვა; **ე დომ ჰალარ ცო ალლა** – ეს სიტყვა არ ითქმის. 2. თქმეგინება (ეთქმეგინება), წამოცდენა **нечаянно вырвавшееся слово saying unwarranted words.** **მაწყე აფუმან ლეველა სოგო** – ხან ტყუილიც მეთქმეგინება ხოლმე; **ადლნას დადევრ სტენახნოხ, ნანევრ მა ალუენრ, მანტც ჰალ ალდადლნორ** – ვუთხარი მამას რაღაცაზე, **დედას არ უთხრა-მეთქი**, მაგრამ მაინც ეთქმეგინა თურმე. 3. გარიგების თვალსაზრისით ხსენება (უხსენდება გოგოს ბიჭი, ან პირიქით) **предлагать при сватовстве mentioning someone for arranging a marriage.** **ცჰანახცჰა ვოჰ ლეველარ სონჲ, ნიფს ოჯუხ დოწადლნას** – ერთადერთი ბიჭი მისხენდებოდა და სწორედ იმას გავეყვი.

* **ალარ¹ alar¹** გრლმ. прх. trans. თქმა (იტყვის) **сказать to say, to tell.**

ალარ² alar² გრლმ. прх. trans. ქმნა (იზამს), მოქმედება (მოიმოქმედებს), ზოგიერთი მოქმედების შესრულება **срული ასპექტის ფორმით творить, совершать to do**

smth, to act smth. კარლოს კართხინ ჰალ ალი'ნე, ვახე ჭნრ ლეცბა! – კარლომ შარვლის ტოტები აიწია (აწევა ქნა) და გასწია სათევზაოდ!

-**ალარ -a'ar** ზმნის ფორმანტია და შეიცავს ქმნის, მოქმედების სრული ასპექტის შინაარსს глагольный формант, содержащий значение творения, действия совершенного вида verb format containing the essence of complete aspect of the action. ბადრევ შარბ ტარკ წუპალბ – ბავშვა თავისი თითი მოწოწნა (მოწოვა ქნა); მინოს შურ ხუპალბ – მინომ რბე მონვრიბა (მონვრევა ქნა).

აღა|ღა **a'ā|d|a** ნიშნავს значит, обозначает means, implies. ნახგრ ღნბრე ამბუდ მე ცო დოგე, მადთხადბნ ყესტარ აღაღა... – ხალხს ცნოვრებისას რომ აღარ ელაპარაკება, სამხეოსთან გაყრას ნიშნავს (ლ. მ.); უხ აღაღა „სამკუთხედ“? – რას ნიშნავს „სამკუთხედი“?

***ღ|ალარ (ინარ) d|a'ar (ixar)** გრღუე. непрх. intrans. 1. გაღღ|მო|სვლა (გაღღ|მო|ვა), გაღღა|სვლა (გაღღა|ვა) **ВЫЙТИ, ВЫХОДИТЬ, ПЕРЕЙТИ, ПЕРЕХОДИТЬ** to come, to go over. ახმეტ ბუდტნიში დავდალიჩრ აღონხე ბაღღ|ნათხ – ახმეტაში მიმავლები ადიდებულ ალაზანს გადავედით; თორღრ ჩურე ნშადუ ვალე – თორღვა შინიდან გავიდა. 2. შობა, დაბადება (ღღაიბადება), გაჩენა (ღღაჩნდება), აღმოცენება, ქმნა (ღღეიქმნება) **ПРОИСХОДИТЬ, ПОЯВИТЬСЯ, ПОЯВЛЯТЬСЯ, РОДИТЬСЯ** to give birth, creating, arising. თხაბუს ე ოჯხე ბადრე დალე – წუხელ ამ ოჯახში ბავშვი გაჩნდა (დაიბადა); კრინელმაქ ქიქ ინაღათერ ქძლაყუდ – კრინელზე აღრე ამოდიოდნენ (აღმოცენდებოდნენ) ენძელები; დალეუნ დაღლე – გასაჩენი გაჩნდება. 3. გამოჩენა (მხისა ღრუბლებიდან) (გამოჩნდება), გამონათება (გამონათებს), გამოსვლა (გამოვა) **ВЫГЛЯНУТЬ ИЗ-ЗА ... (напр., о солнце) appearance (the sun from the clouds), shining out, come out.** თხა ღაზე მათხ ბალე – დღეს კარგი მზე ღგამოვიდა; ღამე ტშერელჩ დალე – ცაზე / მთაში ვარსკვლავები ამოვიდნენ; ბუხრელნა კურ ბალე – ბუხრიდან კვამლი აწმოვიდა; იღერკუჭგორნა ღამეურ ბუთ ბალე – იელთგორიდან ღამაში მთვარე ამოვიდა. 4. ამოსვლა, აღმოცენება (ამოვა, აღმოცენდება), ღგამოსვლა, пробиться, взойти, всходить to arise. ჯაგიღონ დაყარ დალე – ჯაგებში ბალახი ამოვიდა. 5. დადგომა (კარგი ამინდისა) (ღღაღდება) **настать, наступать, наступить** to start a good weather. ჩაღმაღბ ამბღ ოთე – სასიამოვნოდ რბილი ამინდი დადგა. 6. წარდგომა ვინმეს ან რამის წინაშე (წარდგება) **предстаь** to be introduced/to be present in front of smth/sb. კრებენმაქ დაშლო ვადღნას – კრებაზე სიტყვით გამოვედი. 7. გამოქვეყნება (ღგამოქვეყნდება) **публиковаться** to publish (be published). ცენხე პადღარ თამრუფ მაღიშ დალე

– წელს თამარ ჰაბიშვილის ლექსები გამოვიდა. 8. თავის დანებება ამა თუ იმ საქმიანობისთვის (წდაქანებებს) бросать (бросить) то или иное дело to leave some work. უნივერსიტეტენ მაყრ ბაღონას: ცო ღაღმაგე! – უნივერსიტეტს თავი გაგანებე: აღარ ვარგა! 9. დამთავრება ამა თუ იმ საქმიანობისა (წდაქმთავრება, წდაქმთავრებს) заканчивать (закончить) то или иное дело to finish some work. კრებ ცერ დაღე – კრება დამთავრდა; გასრ უნივერსიტეტენ ცერ ვაღე – გასომ (გარსეგანმა) უნივერსიტეტი დაამთავრა (უნივერსიტეტს მორჩა). 10. რაიმე მოვლენის (თაქტის) უცაბელი მოხდომა (ჩხუბისა, აყალმაყალისა) (მოხდება, წმოუხდება), ატყდომა (წაიტყდება), გახდომა (წგაუხდება), მოსვლა (მოუვა) неожиданно возникнуть, возникать, произойти (о драке) sudden occurrence of some fact, quarrel. წმასთხუდნმაქ ღათაწ შიკეც ბახარ ჳეუღარე, ოსი ოჯარნ კაწკო ბუჭ ბაღე: ას ღოს, ას ღოსაღრ! – წმტერზე შესაბრძოლებლად ორივეს მისვლა სირცხვილი იყო და იქ იმათ პატარა ჩხუბი მოუვიდათ: მე მივალ, მე მივალო (შ. ა.)! 11. გახდომა, დადგომა ვინმედ, რამედ (წგაუხდება, წდაღდება), გამოსვლა (გამოვა), შედეგის დადგომა (წდაღდება), შედეგის მიღება (მიიღება) стать, становиться, наступать (о результате) получаться, пригодиться, сделаться пригодным to become, to receive some result. სტოუხკუ ეცინო დეთ ღაზე ბაღე სო – შარშან ნაყიდი ძროხა კარგი გამომაღვა; ჳდიკოღ დირექტორ ვაღე – ინდიკო (კაცის სახელია) დირექტორი გახდა; თხე თეშკრენს სტაკ ვაღე – ჩვენი ბაღლი კაცი გახდა (დაღვა). 12. გამოსვლა ამა თუ იმ მცდელობისა (გამოუვა) получаться получиться (о том или ином деле) realized effort. ივ საქმლო ცოჭანნ ცომ დაღე – ამ საქმეში არავის არათერი გამოუვიდა. 13. გავარღნა (თოფისა, ზარბაზნისა ...) (წგაუვარღება) прозойти (о выстреле) to shoot, to fire. თოფ დაღე – თოფი გავარღა; ზარბაზნ დაღე – ზარბაზანი გავარღა.. მიჩან თოფ დაღე – საღღაც თოფი გავარღა. 14. გაღინება (გაეღინება, გაუვა), გაპარვა (წგაუეპარება) утечь, протечь outflow, leaking. თიშიჩო ქოცუდგო ვე დაღე – ძველ ქვევრს ღვინო გაუვიდა; თეშკრეგო თხაბუს მათე დაღე – ბაღლს (ბიჭუნას) წუხელ ღოგინში გაუვიდა. 15. გადატ. перен. fig. გავარღნა სახელისა (წგაუვარღება) распространяться, распространиться (об имени, славе) to become famous. მეფ ერეკლე წე ჩავ დარ მადთხადნმაქ დაღენო – ერეკლე მეფის სახელი შორს იყო ქვეყანაზე გავარღნილი. 16. რთული თუძის ან შესიტყვების შემადგენელი ნაწილი составная часть сложных основ или словосочетаний a component part of complex root or word-combination. გელეძ ვორმაქ ვაღე – გელენძი

ვაშლზე ავიდა; გუგუაჲ ალზნეს დაჰ ვალქ – გოგია ალაზანზე განდავიდა; თაძგა ნშაძუ ვალქ – თანი (კაცის სახელია) გარეთ განმოვიდა; გიგოლ ალზნეს სო ვალქ – გიგოლე ალაზანზე განდმოვიდა. შტ. ср. comp. აჰ|დალარ (დეჰ|დალარ) ah|d|alar (d|eh|d|alar)₂.

დალენო d|al'enô შიშ. прич. particip. 1. შობილი, გაჩენილი, დაბადებული рождённЫЙ born. ტუგო, შუდრთა ცჰადნ შარე ბა ბალენო – ტუნგო და შორთი (კაცის სახელებია) ერთ წელს არიან დაბადებულები. 2. ამოსული, აღმოცენებული взошедшИЙ being arisen. კაწკო, თაგუენა ია დასო, ხენძირე ჰალო დალენო, დელიშა სოდა ჰეჰუენა, ლამზურჩი მაჰონა თარლენო – პაწია, ტურთა ია ვარ, ხის ქვეშ ამოსული, ირგვლივ დიმილით მომშირალი და ლამაზი გოგონას დარი (ი. ლ.; ა. „წ“). 3. გამოსული (საიდანმე, რამიდანმე) вышедшИЙ being come out. სკოლქერქ ნშაძუ ვალენო ვოჰ სწგო ნანას სტეხორ – სკოლიდან გამოსულ ბიჭს ეზოში დედა ელოდა. 4. განთქმული, ცნობილი, სახელოვანი, თვალსაჩინო известный, знаменитый famous, well-known, distinguished. ბათ-ნანეშო – ბეკინ დალენო... – ბათა დედა – ხომრობით (იუმორით) განთქმული (ს. ლ.). უჯღარჩ ნუნუ დალენ მარ სილამაზეგ – უჯღანთ (ცისკარიშვილი) ნუნუ ცნობილი იყო სილამაზით. 5. გასროლილი (თოფი, ზარბაზანი ...) выстреленный (ружьё, пушка ...) fired (gun, mil. cannon). 6. უნებლიეთ განადენი, გაპარული (მაგალითად, შარდი) неожиданно утёкшИЙ, протёкшИЙ involuntarily leaking (e. g. urine) განადენი (ის, რაც გაედინა, გაუვიდა), გაპარული (ის, რაც გაეპარა) утёкшИЙ, протёкшИЙ smth that was leaked out. ე თიშიჩო ქოცუგო დალენო ვქ და – ეს ძველ ქვევრს გაპარული ღვინოა.

დალუშ¹ d|al'uš¹ შიშ. прич. particip. სახელის, ავტორიტეტის მქონე (ადამიანი), სახელიანი знаменитый, авторитетный famous / well-known person. იმიძველარჩ ილიკო ვალუშ სტაკ ვარ – ილიკო იმედიძე სახელიანი კაცი იყო.

დალუშ² d|al'uš² ზმნს. нареч. adv. მიწურულს, დასასრულს к концу, на исходе at the end. და დალუშ ქაქს ლერკო – ზამთრის მიწურულს რისვს (გაზაფხულის მატყლს) კრეჰენ (პარსავენ).

* **დალარ d|älar** 1. გრდუე. მყოფ. непрх . буд. intrans. fut. ლა Ia სიკვდილი (მოკვდება) умереть to die. თხქ ლო ბალო – ჩვენი ცხენი მოკვდა; მაკა ლარ, ცო ხეცერ თხო – როდის მოკვდებოდა, არ ვიცოდით; ფსარე ქოთამ დალო თხოგო – გუშინ ქოთამი მოგვიკვდა. 2. დ d სიკვდილი смерть death. ბადერ დალრეგ ზორადში დოკ დავდიქ საბდექ – შვილის სიკვდილმა ძალიან გაუფუჭა გული საბედას.

ლწ|დ|ალრ ჰოგო **lǎ|d|alô hogo** მოგიკვდეს! Пусть умрёт у тебя! let me/smb die! ნან ლწალ ჰოგო! – დედა მოგიკვდეს!

ლწ|დ|ალრ ჰობ **lǎ|d|alô hox** შემოგეგლოს! გენაცვალოს! შენადამც მოგვდეს! Готов умереть за тебя! My Darling, let me take your place! Let me die for you! ნან ლწალ ჰობ! – დედა შემოგეგლოს (გენაცვალოს)!

მაქწ დწლარ **makā dǎlar** გრღუგ. непрх. intrans. გადაკვდომა (წგადასაკვდება) долго умолять exerting. მაქწ ძძღწას ნანვაშენ, *ჩუ ვოღაღაღწოწ, ცო ვეწწ, ფეწდაფეწ ვასუღწრ* – გადავაკვდი დედიძმას, *შემოდი რა-მეთქი*, და არ შემოვიდა, *მეჩქარებაო* (ბ. ბ.).

დწღწწ|დ|ოტარ **dǎjln|d|otar** გრღუგ. მყოფ. непрх. буд. intrans. fut. ლწ **lǎ** კვდომა (კვდება) умирать dieing. სეტყვას დაქეჟადიენრ მადრცხლასრ დწღწწღუღტრ – სეტყვისგან დაქეჟილი მერცხალი კვდება (ბ. ბ.).

ამწ-ღამწ **amā-damā** ავ-კარგი, ინნიბინნი, სრულებით არაფერი აბსოლუტო ნიჩეო (не понимать) the good and the bad, absolutely nothing (გამოიყენება მხოლოდ უარყოფით კონტექსტში употребляется только в отрицательном контексте is only used in negative context). ამწ-ღამწ ცო ხაწ ე სე კნათენ, უვრ – ავ-კარგი არ ესმის ამ ჩემს ვაჟს, კაცო!

* ამბუღ **ambuj** j მრ. მნ. pl. 1. ამბავი, ამბები *вeсть, вести, известия* story, rumour, information. 2. რთული ფუძის ან შესიტყვების შემადგენელი ნაწილი *составная часть сложных основ или словосочетаний* a component part of complex root or word-combination.

* ამბუღ დღუღწ **ambuj j|ujnî** მოლაპარაკე, მოუბარი, ის, ვინც (ან რაც) ლაპარაკობს *рассказывающий, говорящий* talker, speaker. ჰო დაჰრ ამბუღ დღუღწ ბუბუკა, ჰო დაჰრ სამოთხეწ სანია – შენ ხარ მოლაპარაკე ყვავილი, შენ ხარ სამოთხის კარი (ა. „წ“.).

ამლიწწით **amlišnit** სიტყვა, რომელიც მიუთითებს ნათქვამის უტყუარობაზე, იმარება თანამოსაუბრის დასარწმუნებლად ნათქვამში; ამ სიტყვას მოსდევს იმ მოცემულობის დასახელება, რომელიც, მოსაუბრის აზრით, მტკიცებულებად უნდა გამოდგეს *слово, указывающее на точность сказанного и употребляющееся с целью убедить собеседника; за этим словом говорящий называет те данные, которые, по его мнению, должны пригодиться доказательством* a word which indicates authenticity of utterance and is used to persuade collocutor; the word is followed by the description which in the collocutor's mind should be the evidence. ას ივნენ ვალ დაჰ დეკარღოწ ამლიწ-

ნით ყარრლქ დე დარქ, ივნეს შარქ ქუდ ღეფბორ ტათბუნ – მე რომ ივანეს ვალს ვუთვლიდი, „ამლიშნით“ წვიმდა და ივანე თავის ქუდს აფარებდა ფულს.

ჭდრაზ: გელკ ბ|ა|ლ|ლუდ გქ, ჯდრაზ! **ãdraz: qelḵ b|a|γ|luj qẽ, ãdraz!** გაკ-ვირვების გამომხატველი ფორმულაა, შეიძლება ითარგმნოს დაახლოებით ასე: ნეტავ, წესია (შეიძლება) მერე ეს, ღმერთო ჩემო! **формула, выражающая удивление; можно перевести приблизительно так: разве можно [так], боже мой!** Formula expressing astonishment that can be translated such as : I wonder; Oh, my God! მიჩკ ვაქსნოგელო ო სტაკ ისემცტ, გელკ ბ|ა|ლ|ლუდ გქ, ჯდრაზ?! – სად წავიდა (რა იქნა) ის კაცი აქამდე, ნეტავ, წესია (შეიძლება) მერე, ღმერთო ჩემო?!

ჭტბატ ãtbāt ცეტი, ცერცეტი, დაუფიქრებელი, უცოდინარი **ветренный, легкомысленный reckless, light-minded.** სქ ვაჯოქ ვაშო ლევსასწ ნიჭიერ ცო დაჩუდ, სე ნანას ჯტბატ დწლათერ სოხ – რაკი ჩემი უფროსი ძმა ლევსანასავით ნიჭიერი არ ვიყავი, დედაჩემი ცერცეტს მეძახდა ხოლმე (ე. თ.).

არკენას, არკნეც arḵena', arḵne' ისევ, კვლავ მკვახე **ещё незрелый, неспелый, опять незрелый, неспелый again unripe.** ე ლავაზ არკენას (არკნეც) და – ეს მოცვი ისევ მკვახეა.

არლივხუ arlivxũ იგივეა, რაც **то же, что the same as არლი არლი** (აზუსტებს საგნის ნიშანს **уточняет признак предмета clarifies the mark of the subject**). **არლივხუ ტოტ ლაწდინას ბუჭლო** – მარცხენა ხელი ვიტკინე ჩხუბში.

არლივჰ arlivh მარცხენა მხარეს, მარცხენა მხარეზე, მარცხნივ **вправо, направо on the left.** ქუდრწლებ წინუს ნეფენ არლივხ ხეცოდო – ქორწილში პატარძალს ნეფეს მარცხნივ უსვამენ.

დარქ-ყატენო d|arḵ-qatēnō მიმლ. прич. particip. უშნოდ გაშლილი, მიყრილ-მოყრილი; გაქდაქშლართული, გაჩაჩხული ვინმე **нечто разбросанное, некто растопыренный** გაქდაქშლართული, გაჩაჩხული **sprawled out.** **მოლუქ დარქ-ყატენო ლათ ჰოგო ე წა!** – როგორი მიყრილ-მოყრილი გიდგას ეს სახლი (ბ. ბ.)!

დარსტლანინ d|arstlajnĩ ადვილად გასასუქებელი, ის, ვინც (რაც) ადვილად სუქდება, სუქებადია **тот, кто легко жиреет getting fat very quickly.** ბროილერქ ქოთმი ატადში დაგლანქ, ატადშ დარსტლანინ და – ბროილერის (ჯვიშის) ქათმები ადვილად გასაზრდელი და გასასუქებელია.

დარსტ|დ|უინი d|arst|d|ujnĩ მიმლ. прич. particip. 1. ის, ვინც (რაც) ასუქებს

делающий жирным, то(т), кто / что делает кого/что-л. жирным someone/smith who/which makes smth fat. მაყდარ ლაზქ ვა ბარსტუენი საშუალებ და – მჭადი ღორის გასასუქებელი კარგი საშუალებაა. 2. ის, ვისაც (რა-საც) ასუქებენ то(т), кого / что делает жирным someone who is made fat. ის ბზდერ ზორადში ყიულ დალენო და, ჰალო დარსტდუენი და შუგო – ეგ ბავშვი ძალიან გამხდარია, გასასუქებელი გყავთ. 3. ზოგიერთ ექსპრესიულ შემთხვევაში მიმღეობა იძენს მასდარის სემანტიკას при некоторых экспрессивных случаях причастие приобретает семантику масдара in certain expressive cases participle receives the semantics of masdara; მაგალითად например for example:¹⁷ ვარშ დარსტდუენი ქორთო მიხა ბა სოგო! – ღორების გასუქების თავი სადა მაქვს! ალ დადცო ი ნახ, სერიალიგო ჰეჭუენი ხა ჰანგოჰკ დალო! – ნეტარება ამ ხალხს, სერიალების ყურების დრო ვისა აქვს, ნეტავი! ვადლნვო-ტუენი საწ ბიდ მოკითხოდუენი დოკაც ცო დაგეგ სოგო! – მომაკვდავი ჩემი საკუთარი ბიდის მოკითხვის გულიც აღარა მაქვს!

დარსტ-ვარსტენო d|arst-qarstenô არცთუ მსუქანი, ოდნავ მსუქანი, მომსუქნო жирненький not so fat, just a bit plump. უნეკ პირლო დარსტ-ვარსტენო, ღადლო დალენო ყელრქ დაგურ სოგო, დაჰ ჩავარდიენო, დოხკა დიკითნას – რაც კი ფარაში ზამთარს გადარჩენილი მომსუქნო ცხვარი მერია, გადარჩეული, გასაყიდად გავატანე.

არ-ური დ ar-uri d არცთუ ნათლად გამოხატული უარი не совсем ясно выраженный отказ not enough clearly expressed refusal. დოჰ მენა დუმჰრელუ ვახენო სტეფო, არ-ურივ ვერწვინო გოგის მაძირივ – ქალიშვილის სათხოვნელად პირველად მისული სტეფო მსუბუქი (არცთუ ნათლად გამოხატული) უარით გაებრუნებინათ მაჩაბლიშვილებს.

არქათ დ arkat j არაქათი, ძალ-ღონე, ქანცი сила, энергия strength, power, force. ყალე არქათ დავს სოგო – სიბერეში არაქათი დამეკარგა (გამომელია).

არქათ|დავინო arkat|j|avinô მიმღ. прич. particip. არაქათგამოცლილი, დაუძლურებული потерявший силу, энергию exhausted, fatigued.

დარწინო-დარწიო d|arçinô-d|arçičo მუდმივად შიშველი, ტიტველი, ჩაუც-მელი вечно / постоянно голый, раздетый, не одетый constantly nude, undressed. დარწინო-დარწიო ლელქ ი დოჰ! – სულ შიშველი დადის ეს გოგო!

¹⁷ ქვემოთ მიმღეობის ამ თავისებურებას აღარ გამოვეყოფთ სპეციალურად ниже эту особенность причастия специально более не выделим below we won't separate this characteristic of participle specially.

არ: არ ტყოყ **ār: ār tqo'** კავშ. союз conj. ან კიდევ, არადა или же or else. ჰათხეც სა-
თაკილო დარ, მე ფსტეივ ვასერცტ ცჰჰლ მაღნი მაყრალორ, არ ტყოყ დადას შარტ
ბნდერ ჰალ ეცრალორ, ლე დაგოჩნადორალორ – წინათ სათაკილო იყო, რომ დია-
ცებს მამაკაცებთან ერთად ჰური ეჭამათ, ან კიდევ მამას თავისი ბავშვი აეყვა-
ნა, ან მიაღერებოდა.

* **დასქ, დაშარქ d|asē, d|aşarē** 1. ცარიელი, რაშიც (რაზეც) არათურია მოთავ-
სებულო, რაშიც (სადაც) არაფინაა, არათურია ან ძალიან ცოტაა пустой empty.
დასქ (დაშარქ) ქოცო – ცარიელი ქვევრი; დასქ (დაშარქ) ჰერწო ცუდ და ჰოგო?
– ცარიელი ქვაბი არა გაქვს? დადი დაჰ დაუდაკი'ნქ, წა დაშარქ (დასქ)
ლნდოდისქ – პატრონები მიმოიკარგენ და სახლი ცარიელი დარჩა. 2. არათ-
რის მქონე, ხელცარიელი, უპოვარი, უქონელი, დარიბი, ცარიელ-ტარიელი
ვინმე неимущий, бедный poor, having nothing. მალორქ ვოწვალი'ნქჰ, ოც მს
ნევაღქჰ ვასქ – სმას გადაჰყევი დ ახლა ზინარ ხელცარიელი. 3. რისამე ჰარ-
ბად მქონე ვინმე ან რამე предмет, имеющий излишек тех или иных
признаков smth having smth too much. ე უხ თილნა'ჰ სო, დასქ თუდ და! – ეს
რა მაჭამე, ცარიელა მარლია! სპერუდნ დასქ (დაშარქ) კლდეკარი და – სპე-
რონა ცარიელა (სხვა რომ არათურია) კლდეკარქებია.

დასქ, დაშარქ ამბუდ d|asē, d|aşarē ambuj j ბაქია хвастун, самохвал
boaster. დასქ (დაშარქ) ამბუდა ე ციმო – ბაქიაა ეს ციმო (ბ. ბ.).

დას|დიენო d|as|dienô მიმლ. прич. particip. ჩამოცლილი, დაცლილი опустошённый
emptied, drained. დასდიენო ხორბლქ მეშკი მეწიქვილეგო ცჰჰლ დატერ ცჰანბ
ყურე – დაცლილი ხორბლის მეშოკები მეწისქვილეს ერთად ეყარა ერთ კუთ-
ხეში; დანა კონან აჰ დახკენჩო ნახე დასდიენო წენბუდ დუხანე ლათერ ქოკიმაქ
წარო, დაკლაგრა, დუხანე სტენო დადიენო – საცხოვრებლად ბარში ჩამოსახ-
ლებული ხალხის მიერ დაცლილი სახლები დიდხანს იდგა ფეხზე წაროში,
იფიქრებდი, ისევ ელოდებიანო პატრონებს.

ასოსბა|დალარ asosba|d|alar გრლუგ. непра. intrans. გადატანილი ავადმყოფობის მე-
რე როგორმე ფეხზე წამოდგომა, გავლა (წამო|დგება, გაივლის) после
перенесённой болезни как-нибудь встать на ноги hardly get up after long
illness. ხოჯგი მარ ლაგხეგო ზორადშ მოსინქ, შივ დე და, უნქ ჰალორ ასოს-
ბადვალქ – გრიბი ჰქონდა ლაგანს (კაცის სახელია) ძალიან ცუდი და ორიოდე
დღეა, რაც წამოდგა (ა. გ.).

ასოსბა|დადინო, ასოსბა|დალინო asosba|d|ajlnô, asosba|d|alinô მიმლ. прич.
particip. გადატანილი ავადმყოფობის მერე როგორმე ფეხზე წამოდგარი, გავ-

ლილი после перенесённой болезни как-нибудь вставший на ноги to be on one's feet after long illness. ხოჯგი მარ მეცაყუდგო ზორამო მოსინე, თხაგეც ვა ასოსბადვალინო – გრიბი ჰქონდა მეცაოს (კაცის სახელია) ძალიან ცუდი და დღესლაა წამომდგარი (ა. გ.).

დასტ|დაღნო, დასტ|დალინო d|ast|d|ajlnô, d|ast|d|alinô მიმლ. прич. particip. გახსნილი, გარღვეული, დარღვეული открытый, растёгнутый, распоротый opened, ripped. ნინეგო კაბ მათ-მათე დასტაღინო მარ – ნინას კაბა ალაგ-ალაგ გარღვეული ჰქონდა.

* **დასტ|დაღარ d|ast|d|alar** გრლუგ. непрх. intrans. 1. გახსნა (გაიხსნება) открыться to open, to unbutton. ე პეპელ ბჟა დაჰ დასტლა სოგო – ეს ღილი სულ მესხნება. 2. დაფარცხნა (დაიფარცხნება) расчесаться, расчёсываться to comb. გონე დასტლიბ, ეშტყე მა დუდტყე მამღარი! – წესიერად დაიფარცხნე, ასეთი ნუ მიღინხარ მამიდაანთას! 3. გადატ. перен. fig. გულის გახსნა (გაუხსნის) открыть душу to open one's heart. თხა ნიკო ვასტგალო სო – დღეს ნიკომ გული გამიხსნა.

- რათ -rat** ნაწ. მრ. ინკლ. част. мн. инкл. part. pl. incl. მაინც, ერთი, -ლა -ka however, one, -only (გამოხატავს პირის ნაცვალსახელის | და || პირების მრ. რიცხვის შინაარსს *выражает значение | и || лиц местоимения во мн. ч. expresses plural number content of personal pronouns of | and || persons*). ეჭ, ჰალ ვიორათვად, სამსაჟნრი ჭიკ ჰედლაღუდთვად – ეჭ, ავდგეთ მაინც (ავდგეთ ერთი, ავდგეთლა) |მე და თქვენ; ჩვენ და შენ; ჩვენ და თქვენ|, სამსახურში არ დაგვაგვიანდეს; ქორთმი დილრათვად, თხა ჰაში დაღუდცრ – თავები დაგვიანნოთ მაინც (დაგვიანნოთ ერთი, დაგვიანნოთლა) |მე და თქვენ; ჩვენ და შენ; ჩვენ და თქვენ|, დღეს სტუმრები მოდიან აკი.
- რანთხ -rātḫ** ნაწ. მრ. ექსკ. част. мн. экск. Part. pl. exc. მაინც, ერთი, -ლა -ka however, one, -only (გამორიცხავს პირის ნაცვალსახელის || პირს მთლიანად *исключает || лицо местоимения полностью excludes the second person of personal pronoun*). ეჭ, ჰალ ვიორანთხ, სამსაჟნრი ჭიკ ჰედლაღუდთხრ – ეჭ, ავდგეთ მაინც (ავდგეთ ერთი, ავდგეთლა) |შენ არა; თქვენ არა|, სამსახურში არ დაგვაგვიანდეს; ქორთმი დილრანთხ, თხა ჰაში დაღუდცრ – თავები დაგვიანნოთ მაინც (დაგვიანნოთ ერთი, დაგვიანნოთლა) |შენ არა; თქვენ არა|, დღეს სტუმრები მოდიან აკი.
- რანს -rās** ნაწ. მს. част. ед. Part. Sing. მაინც, ერთი, -ლა -ka however, one, -only (გამოხატავს პირის ნაცვალსახელის | პირის მხ. რიცხვის შინაარსს *выражает значение | лица местоимения в ед. ч. expressing the content of singular number of the first person of personal pronoun*). ეჭ, ჰალ ვიორანს, სამსაჟნრი ჭიკ ჰედლაღუდსრ – ეჭ, ავდგე მაინც (ავდგე ერთი, ავდგელა), სამსახურში არ დამაგვიანდეს.

დეს; ქორთო ბილწის, თხა ჰაში დალუდვი – თავი დავიბანო მაინც (დავიბანო ერთი, დავიბანოლა), დღეს სტუმრები მოდიან აკი.

* რაგატკი მდ **ragatk** jj „რაგატკა“, ჯიბის შურდული **poratka slingshot**, small hand-held weapon made of a loop of elastic connected to a Y-shaped stick and used to hurl stones or other small projectiles.

რაგოჯი ბბ **rago3** bb მანქანის საბურავებისგან შეკერილი პრიმიტიული ფეხსაცმელი, რაგოჯი **poro3a** simple shoes made by car tyres. ბუჭ ღროჭ რაგოჯი დუწიგო ბათხურ – ომის დროს რაგოჯები ბევრს ეცვა.

რატრატ: რატრატ დარ **ratrat: ratrat dar** გრძმ. перх. trans. 1. თამთამი (თამთამებს), ნძრევა, რხევა ფათისებური მასისა, სხეულისა და მისთანათა **качаться** (о кашеобразном веществе, о теле и прочем) shaking ones body or porridge like mass. თხა ქორთივ რატრატ დო სო – დღეს თავი პირატრატებს. 2. გაღატ. перен. fig. ყატყატი (ყატყატებს), ხმაურით ლაპარაკი (ლაპარაკობს) **болтать шумно** loud talking. სუდმეს დუწ რატრატ დიქ, მან ლარკ ცოჭანე ლოთფ – სიმონმა ბევრი იყატყატა, მაგრამ ყური არავინ უგდო.

რატრატადნო **ratratajnô** ზმნს. нареч. adv. თამთამით качаясь (о кашеобразном веществе, о теле и прочем) shaking. ი სუფ უხ ხალადეცს რატრატადნო მა? – ეს სუბი რატომ ლაბასავით თამთამებს (თამთამითაა)?

რაქრაქ: რაქრაქ დარ **rakrak dar** გრძმ. перх. trans. 1. რყევა (ირყევა), ტოკვა (ტოკავს) **шататься** shaking. ცჭად ცარკევ რაქრაქ დო სო – ერთი კბილი მიტოკავს. 2. უთავბოლო, ბევრი, გაუთავებელი ლაპარაკი (ლაპარაკობს), ლაქლაქი, ყბელობა, ქაქანი **болтать** endless chat, yacking. ატგელქ, ვო, მაცლომცო დო[ჭ] რაქრაქ! – გაჩუმდილა რა, ბიჭო, როდემდე ლაქლაქებ!

რახ-ძგარ დ **rax-3gar** d დიდი, აუტანელი ხმაური, რახარუხი **невыносимый шум-гром** banging, unbearable noise. თიშო კედელ დეხდორქ, რახ-ძგარ დალორ ოთხერქ – ძველ კედელს ანგრევდნენ და დიდი რახარუხი გამოდოდოდა ოთანოდან.

რახ-ძგარ დითარ **rax-3gar ditar** გრძმ. перх. trans. დიდი ხმაურის გამოცემინება (გამოაცემინებს) **распространять невыносимый шум-гром** to make smth. sound out big noise. მჭედელეს დეჭცჰაც რახ-ძგარ დითო ო შადრ მაჯუდნო კვერეგო – მჭედელი მთელი დღე დიდ ხმაურს გამოაცემინებს იმ თავის დიდ ჩაქუჩს.

რახ-ძგარადნო **rax-3garajnô** ზმნს. нареч. adv. დიდი ხმაურით с большим шумом-громом with big noise. რახ-ძგარადნო ღოთფდალო შარქმაქს მაჯო საბარგ მანქან – დიდი ხმაურით ჩაქროლა შარხე დიდმა სატვირთო მანქანამ.

რეგო|დ|არ rego|d|ar გრძმ. перх. trans. აქოთება სხვისი ნივთებისა (აქოთებს) перемеш[ив]ать, [раз]рыть чужие вещи to make a mess. **ჰჱ რეგოდიქ ე სქ ბუნგი?** – ვინ ააქოთა ეს ჩემი ჭურჭელი?

რიჰბანდე rižbāde ზმნს. нареч. adv. რიჰრაჰზე, თენებისას, დილაბინდზე, დილაუთენია на заре, на рассвете, спозаранку at the dawn, at daybreak. **მარ თჱფლოგორას ლოჱმუჱ, რიჰბანდე ვიონას** – ქმარს ვაცილებდი მთაში და რიჰრაჰზე ავდექი.

როდი rodi არ, კი არ, როდი не, ни when, no. **სტაკ ომაჱ ცჰა როდი ვა** – კაცი ყველა ერთი როდია (კაცი არ ყველა სწორია) (ა. მ.).

რუბაშე დდ rubašk dd ქალის ზედატანი (ტანსაცმლისა) женская рубашка women blouse. **წჱრ მალაზიე ლამზურჩრ აფრშულქ რუბაშე იცნას** – ახალ მალაზიაში ლამაზი აბრეშუმის ზედატანი ვიყიდე.

ს

***სა** დდ **sa dd** 1. სული душа, дух spirit, soul. **ადმიანგო[ჰ] სა დალო** – ადამიანს სული უდგას; **სე სწფარ!** – ჩემი სულის მადლმა! **ბაბო სწ დჱე შაჱნელღარნ დაჰნათხ** – პაპის სულის წილი (სულის მოსახსენებელი კერძი) შავხელიანთ წავუღეთ; **ღიტეშ სინზუდ ვასლაგერ თხოგო[ჰ]** – სირბილისაგან კინაღამ სულები ამოგვძვრა; **ოგუდგო[ჰ] ნასტ სა დალო** – მას ძლივს უდგას სული; **ბაცბი შუდ დაღჱ სინზოხ დადერ** – თუშები თავიანთი მამების (მამა-პაპათა) სულებს ფიცულობდნენ. 2. ცალკეული ადამიანი, პიროვნება, კაცი; ცალკეული პირუტყვი, საქონელი отдельный человек, отдельное лицо; отдельное животное separate person, individual. **სიხ ში-შე ჟელორქ ვაჩქ თხო** – სულზე ორორი ცხვარი შეგვხვდა; **ვაჟარნ ფხი-ფხ სა დალო თხო** – ძმებს ხუთ-ხუთი სული მოგვცეს. 3. რთული ფუძის, ან შესიტყვების შემადგენელი ნაწილი составная часть сложных основ или словосочетаний component part of complex root or word combination.

სა თეფხარ (თოხარ) sa tepxar (toxar) გრძმ. перх. trans. 1. წამით შესვენება (წმეისვენებს), სუნთქვა, ამოსუნთქვა, სულის მობრუნება (წმოიბრუნებს) сделать передышку, передохнуть to rest for a while, to breath out. **სა თოხ-**

ლეთვად, დაჰ მალდიქსო ი ჭარკნივ – წამით შევისვენოთ რა, დამლალა ამ ზიგ-
ზაგმა (სერპანტინმა). 2. გადატ. перен. fig. როგორმე ცოცხლად ყოფნა (როგორმე
ცოცხლად), როგორმე არსებობა *существовать, жить как-нибудь to be
alive somehow.* ვანა', მოჰ მაჰუნო, ხატო'ერას აგახ, ეჰ, ბანდერა, სა თეფხოს,
ალორ სოგო – აბა, როგორა ხარ-მეთქი, შევეკითხებოდი ხოლმე ბებიას და,
ეჰ, შეილო, როგორმე ვცოცხლობო, მეტყოდა (ბ. ბ.).

*სა იხარ (დ|ჰხარ) **sa ixar (d|ǎxar)** გრლუვ. непрх. intrans. მონატრება ხილის, ან
რაიმე საკვებისა *захотеть то или иное кушанье, еду to miss the fruit or some
food.* ვეხკეჩო ჭარეგო იხორ სქ საჲ, თსარე ნასის ბეცქ სო – მონარშული თევ-
ზი მენატრებოდა და გუშინ რძალმა მომართვა.

სა ხეტარ (ხიტარ) **sa xetar (xiṭar)** გრლუვ. непрх. intrans. [შექრთომა
([შექრთება), უცაბელი, წამიერი შეშინება (შეშინდება) *внезапно
вздрагивать / вздрогнуть от испуга shuddering with fear.* აგენ სა ხიტქ, ცოს-
ტენი ქორთო ცო ხილენჲ, უგერშოთჲ დავჲ – ბებიას უცბად შეშინდა, აღა-
რაფრის თავი არ ჰქონდა და უგზოუკვლოდ გადაიკარგა (ლ. ლ.).

სა|დ|ალენო, სა|დ|ავინო **sa|d|al'enô, sa|d|avinô** სულძალი, სულძალო,
სულგამქრალი, სულგამქრალო, დაწყევლილი, დაწყევლილო *проклятый
damned.* მოლუჲ სადავინო დეწქ აღმიქ ხილჲ, მქ შარჲ ფჰეხობი ჩაშეებადარ კის-
რბადლორ? – როგორი დაწყევლილი უნდა იყოს ადამიანი, რომ თავისი თანა-
სოფლებების ჩაშეება (დაბეზდება) იკისროს.

სა|დ|ახუდლჲ დ **sa|d|axujlā d** სულის მოსათქმელი გარემო, მოსვენებით ყოფნის
დრო და ადგილი место, время, условия, где можно быть со спокойствием
на душе a peaceful place where one can relax. ისე ლაზქ სადახუდლჲ და – აქ
კარგი სულის მოსათქმელი გარემოა.

სამიჯრალადლჲ დ **samižralajlā d** [გარჩიერაჲი утренняя заря daybreak. სა მიჯრა-
ლადლჲ დარ ას ნაყმაქ უდოჩე – [გარჩიერაჲი იყო, მე რომ გზას დავადექი (ბ. ბ.).

სადებ დდ **sadeb dd** მუთაქის სახით მჭიდროდ დახვეული (ან ამგვარივე ფორმით
შეკერილში ჩადებული) და ცხენის გავაზე გარდიგარდმო უნაგირზე მიმაგ-
რებული მსუბუქი ბარგი რამ лёгкий багаж, туго завернутый в виде валика и
поперёк прикреплённый к седлу лошади light luggage tightly wrapped up like
a bolster and fastened to horse saddle. დუდ ჰალო დოფხლო'ერ, ბარგ თადლჲნჲ
ჩუ დოხკინო, გაგჲ სადები ახკინო, კაწკჲ ბანდრი თადლაზჲნჲ ჩუ ხაბუდიენო, ჰალო
იხორ ტბათინ – ცხენებს ჩააცმევდენ (შეკაწმავდენ), ბარგს ხურჯინებში ჩა-
ყრიდენ, ცხენებს გავაზე „სადებებს“ მიუმაგრებდენ, პატარა ბავშვებს ხურ-

ჯინებში ჩასხამდნენ და [ასე] მიდიოდნენ ტბათანაში (ლ. ყ.).

სადეგ მდ **sadeg** jj ადგილი, სადაც მოიპოვება ესა თუ ის რამე место, где можно достать что-либо нужное a place where smth is extracted. **ქე დაჟღა ზორადში ყტროხრ დაჟრნლქ სადეგ და ლაჟმბარჩხ** – ცხვრის საძოვებლად ძალიან მსუყე ბალახიანი, ოპტიმალური ადგილია ალაზნისთავი.

სადევარ მდ **sadevar** jj პირუტყვის მოსაძოვებელი სივრცე, საძოვარი пастбище, выгон pastureland, grassland. **შირქი დაზქ სადეგრი და** – შირაქში კარგი მოსაძოვებელი სივრცეებია.

საკალტ დდ **sakalt** dd დღის განმავლობაში საკმარისი ხაჭოს ჩასადები; მზადდება ცხვრის სათესლის პარკისგან, იყენებენ მწყემსები пастуший кулёк, мешочек, кошель из бараньи мошонки для размещения творога на один день shepherd sack made of sheep testicles to put enough curds for one day. **ცჰა საკალტ უხ და სტაკონ დჩრდჟცაყ, უერ!** – ერთი „საკალტე“ რაა კაცისთვის მთელი დღის განმავლობაში, კაცო!

საკუდრველ **sakujrvel** საკვირველი удивительный surprising, astonishing. **საკუდრველ ამბუდ მარ ყუეგ შარჩ დანაშაულ აღიარბადმარ** – საკვირველი ამბავი იყო ქურდის მიერ თავისი დანაშაულის აღიარება.

სალათავ დ **salapav** d 1. სალათავი, წყალში გახსნილი ქატო, ფქვილი და სხვ. შინაური პირუტყვისათვის отруби, мука и прочее, растворённые в воде для кормления скота и птиц gruel for cattle made of water, bran and flour. **ფჰარან სალათავ ოთდებათ** – ძალს სალათავი დაუდგით! 2. გაღატ. перен. fig. უგემური და უსახური კერძი რამ то или иное невкусное, невзрачное блюдо tasteless meal. **თხა ნამდუდლ სალათავ თილნა[ჰ] სო, ოსტუდნრ!** – დღეს ნამდვილი სალათავი მაჭამე, დედაკაცო (ცოლო)!

სალდათ ვბ **saldat** vb ჯარისკაცი солдат soldier.

სალდათ დო ბდ saldat dō bd მხოლოდ მხედრისთვის გათვალისწინებული, თუნდაც რამენაირი ბარგისგან თავისუფალი, მორთულ-მოკაზმული ცხენი одетая свободная лошадь только для всадника saddled up horse provided for horseman only. **ბაჰერჯღარინა გრიგოლა სალდათ დონმაქ ლევაღერა** – გრიგოლი ბარამიძეცა უნის სალდათა ცხენსაო (ა. მ., ბ. ლ.).

სამაყუდჰრქ **samaqujhrē** ხალვათი, ფართო, სულის გასახარი სივრცის მქონე широкий, просторный smth having broad / wide space. **წოვათ ზორადშ სამაყუდჰრქ და** – წოვათა ერთობ ხალვათია.

*სამსარ (სემსარ) **samsar** (**semsar**) გრძლ. перх. trans. დასუნვა (დასუნავს), დაცნოს-
ვა (დაცნოსავს) понюхать, обнюхать to smell. ვარდეს ჰადჷ სადმსნას –
ვარდს ვუსუნე.

სამწვერ¹ დ **samçver**¹ d სამწვერად დაგრეხილი ბაწარი, ნართი, წნა пряжа, прядь
из трёх нитей threefold woolen thread. ას ჩხაღრი ბჷჷ სამწვერეჷ დოს, გამძლ
და – მე წინდებს ყოველთვის სამწვერა ბაწრით ვქსოვ, გამძლეა.

სამწვერ²: სამწვერ ნერვ ბ **samçver**²: **samçver nerv** b სამწვერა ნერვი
тройничный нерв trigeminus nerve. სამწვერ ნერვეჷ ჯთებ და სოგო – სამწვერა
ნერვის ანთება მაქვს.

სანბობ დ **sanbob** d სამებობა (სამებობის დღესასწაული) Санбоб, Праздник
Троицы Sanebob, festival. სანბობ დენი დინი ფჷჷ ვაშბინჩ იხრ ლოცადლანჷ,
ქიფებადალ – სამებობის დღეს მთელი სოფელი იკრიბება სალოცავად და სა-
ქეიფოდ.

სა, ნჭადესა ბდ **sā, nɔaj'sā** bd კარი дверь a door. ის [ნჭადესა]სა დაჷ ბებათ! – ეგ
კარი მიხურეთ! ის [ნჭადესა]სა დაჷ ნჭადებებალჷ – ეგ კარი გააღე რა (კ. ჭ.).

*საგო, ეზო, ეზო დ **sāngō, ezō, ezō** jj ეზო, კარის (კარების) მიმდებარე არე,
სივრცე двор, прилегающее к двери (к дверям) пространство yard yard,
lawn. ბაღრი საგო[ჷ]სა ლადჷ – ბავშვები ეზოში თამაშობენ; წაძჩო საგო[ს] ვუხ
(უხ) თელჷ! – სუფთა ეზოს რა სჯობს!

*საპონ დდ **sapō** dd საპონი мыло soap.

საპნეჷ ფერულ დ **sapnē perpl** jj ხმარებისგან გათხელებული და დაპატა-
რაგებული საპონი остатки, кусочки мыла thinned soap from usage. ჰაშინ ტო-
ტი დილან ოთღიქჩო სასაპნე საპნეჷ ფერულ დალგერ – სტუმრებისთვის ხელის
დასაბანად დადგმულ სასაპნეში გათხელებული და დაპატარაგებული საპონი-
ლა იდო.

სასიყმ დ **sasiqm** j ძალ-ღონე, ენერგია ადამიანისა сила, энергия человека force,
power of person. დინ საჩ სასიყმ ბაღრინ მახკინას – მთელი ჩემი ძალ-ღონე
შვილებს მოვახმარე (დავაღვარე).

სათართ[ალ] დ **sapart[al]** dj აგდებ. пренебр. Ву m.f. შარვლის ტოტი штанина
trouser's leg. მაცლომცონ ფრელებადმო[ჷ] ის სათართ[ალი]! – როდემდე აფრია-
ლებ მაგ შარვლის ტოტებს (როდემდე დადინარ წინ და უკან)! შღრ. ср. comp.
კართხ **ḳartx**.

*საყდარ დდ **saqdar** dd საყდარი, ეკლესია церковь church.

საყდრი დ **saqdrī d** მრ. მნ. pl. 1. ეკლესიები церкви churches. ვაძლო ლამაზურ საყდრი და – ჩვენთან ლამაზი ეკლესიებია; ნან საყდრი შეგლობაღ დარ – დედა ეკლესიების დასალაგებლად იყო; დაფინრ ნახ საყდარ სანგოაჰი დეხკარ – გარდაცვლილ ხალხს (ადამიანებს) საყდრის ეზოში ასათლაფებენ. 2. მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; ძველებური თუშური ქელები, სადაც ქალები საკუთარი სუფრებით მიდიოდნენ обряд, связанный с похоронами усопшего; старинные тушинские поминки в день похорон, куда женщины ходили со своей едой customs connected with the funeral procession; ancient Tushetian funeral wake where women used to come with their meals. თხა ნანგაშლარი საყდრი დარ – დღეს დედიძიანთას ქელები იყო; ნან საყდრიგორქ (საყდრანხ) დეჟქ – დედა დაკრძალვიდან მოვიდა; თხა სრ საყდრიგო (საყდრანხ) დარასრ – დღეს მეც დაკრძალვაზე ვიყავი. საყდრანხ დქხარ **saqdrāx d|exar** დაკრძალვაზე დამახება (დაუძახებს), მიწვევა (მიიწვევს) приглашать / пригласить на поминки в день похорон to invite sb. to the funeral. ლაზიშ დაკოდა სრ: დონმაქ საბქენრ დარჭიშ დოფხდალინრ ფსტი ლელაღლათერ, შოქ მარშ, ჯან მავან აღმიქ ლექყოდოქ, საყდრანხ დამშოქ დეხინუდნრ – კარგად მახსოვს: ცხენებზე შემსხდარი შავად ჩაცმული ქალები დადიოდნენ ხოლმე, ჯვარი გეწეროთ და ხვალ მავან ადამიანს მარხავენ, დაკრძალვაზე ხართ დაპატივებულებიო (ა. ბ.).

საწვაგ¹ დ **saçvav¹** jx საწვაგი горючее fuel. სოჯორ, მანქანი იტეგორ ლიტრ საწვაგქ დოთალქ – სოხურ (კაცის სახელია), მანქანაში ათიოდე ლიტრი საწვაგი ჩაასნი რა.

საწვაგ² დ **saçvav²** d საჭმელი რამ еда, что-нибудь поесть some food. დეფცჰას მაღცნი ბათხრ, უჯრ, საწვაგ ცუდ და შუგო ნაქტრე? – მთელი დღე მშივრები ვართ, უჯო (კაცის სახელია), საჭმელი რამ არა გაქვთ ბინაში?

*საჭირრ **saçirô** საჭირო нужный needed, necessary. თხილოლ მიჩხმაც საჭირრ და – სითრთხილე ყველგან საჭიროა.

საჭირ იხარ (დ|ახარ) **saçir ixar (d|axar)** გრლუგ. непрх. intrans. რამის ინტერესის ქონა (ინტერესი აქვს, აინტერესებს) [за]интересоваться having some interest. [ბუქრაულან აღექსინ] საჭირ იხრალრ, მოჰ დანხერ ე ლეკი – აღექსი ბუქრაულს აინტერესებდა თურმე, როგორ ცხოვრობდნენ ეს ლეკები (თ. უ.).

სახელურ დ **saxelur dd** სახელური, ხელის მოსაკიდებელი კარისა, თანჯრისა, კარადისა, ჩანთისა და მისთანათა рука, рукоятка, хватка двери, окна, шкафа,

сумки и прочих handle of a door, window, cupboard or a bag. შლრ. სრ. comp.

ქოლთ **kolt**, ჰიკ **hik**.

საგმარ დე **saqmar** ჯი შრომის (სამუშაო) იარაღი, ინსტრუმენტი орудие труда, рабочее орудие, инструмент working tools, instruments. ღურგლობადნ შარბ საგმარ დეწე – ღურგლობას თავისი სახმარი ინსტრუმენტები სჭირდება; თოვ, ბარ, დიკ, ნეკ საგმარი და – თოხი, ბარი, ცული, დანა სამუშაო იარაღია.

საგსაგანბ **sägsägajnö** ზმნს. нареч. adv. „საგსაგით“, ძგრიალით, ხმაბაძვითი სიტყვაა, რომელიც გადმოსცემს მთით დაგორებული დიდი ქვის, ლოდის მიერ გამოცემულ ხმებს звукоподражательное слово, передающее шум покотившейся по склону каменной глыбы crashing-imitating word expressing the noise of rolling stones from the mountain. საგარ ბალო საგსაგანბო, კაწი ახე კაგკაგანბო – დაგორებული ლოდი მოქრის ძგრიალით, ლეკვები ყეფენ კაგკავით (თ. მ.).

*სელ[ხანე|ჰი] **sel|xane|h** აქამდე, ამ დრომდე, ამდენი ხანი, ამდენ ხანს столько времени, до сих пор such a long time, yet, before now, so far (გამოიყენება უარყოფით კონტექსტში в отрицательном контексте is used in negative context). დუვ სტეხითინაჰ სოგო, სელხანე მიხე ვარაჰო? – ბევრი მალოდინე, სად იყავი ამდენ ხანს? სელ[ხანე|ჰი] ცო ვეცენო, ცო ვალოვ მიხო – აქამდე არ მოსული, აღარ მოვა მიხო; სელ[ხანე|ჰი] ცო დაცინო, ლე მა დაცოგე ე სწგო! – ამ დრომდე რომ არ გათიბე, ნულარც გათიბავ ამ ეზოს!

სერწყევა|დ|ალარ (< სერტ-წყევა|დ|ალარ) **serçqeva|d|alar** (< **serṭ-çqeva|d|alar**) გრღუვ. непрх. intrans. წყევლა (იწყევლება) изрекать проклинания cursing. ე ფტუენბ ბჰს სერწყევალა – ეს ქალი მუდამ იწყევლება.

სერწყევა|დ|არ (< სერტ-წყევა|დ|არ) **serçqeva|d|ar** (< **serṭ-çqeva|d|ar**) გრღმ. прх. trans. წყევლა-კრულვა (წყევლის) проклинать cursing. სე მეზობლწ ფსტუენბ ნახ სერწყევადარევე დარ დალენბ – ჩემი მეზობელი ქალი ხალხის წყევლა-კრულვით იყო ცნობილი.

სივჰ **sivh** ზმნს. нареч. adv. აქეთ, გამოლმა на этой стороне (берега) this side. ათხ სივჰ ბახეთხე, ივრამლარ – დივჰ – ჩვენ აქეთ (გამოლმა) ვცხოვრობთ და იორამაანი – იქით (გალმა) (კ. ჭ.).

სითწბ ბ **sipīt b** განაგალი, სკორე كال dung. ომარ ველწლათერ კაწკლე, ბა, სწ ავ ლივ, უეუენბ, მე დშაყენ სითწბ ბეწიშ ბიღანანდნბ – ომარი იცინოდა ხოლმე ბავშვობაში, ვა, ბებიაჩემი ამბობსო, კაცო, რომ ჭრილობაზე განაგალი უნდა დაიდროთო.

სიფსრახ სიფსრახ სიფსრახ **sipsrāx** ზმნ. нареч. adv. სადღაც გუშინწინ[ებში] где-то позавчера on the day before yesterday. ის ამბუდ სიფსრახ მოკდენადაღ – ეგ ამბავი სადღაც გუშინწინ[ებში] მოხდა.

სიხჩსაქ **sixi[sā]** ზმნ. нареч. adv. მოუთმენლად, სულმოუთქმელად, სწრაფად нетерпеливо, с нетерпением, быстро impatiently, non-stop. სიხჩსაქ სტეხოს სალთეხ ვოჭ ვუხ ვერწარ – მოუთმენლად ველოდები ჯარიდან ბიჭის დაბრუნებას; სიხჩსაქ სტეხო ძუძკეს შარდ დად შირქილქ, კიე დეწ სო მახანა, თიბო – მოუთმენლად ელოდება გოგონა თავის მამას შირაქიდან, კევი უნდა მომიტანოს.

სიხჩ-ბჭეხ **sixi-bwexi** ზმნ. нареч. adv. უკიდურესი მოუთმენლობით с нетерпением with extreme impatience. სიხჩ-ბჭეხ სტეხოს სქ დად შირქილქ: ლაჟმუ დეწესო დიკა! – უკიდურესი მოუთმენლობით ველოდები მამას შირაქიდან: მთაში უნდა წამიყვანოს!

სიხ დ|ალ|დ|ალარ **six d|al|d|alar** გრღუგ. მრ. непрх. мн. intrans. pl. რამის გადავარდნა სასულეში, სასუნთქ მილში (გადაუვარდება) попадание в дыхательное горло чего-либо to have smth. fall in the trachea. მა ქასტლა, სიხ ბალლა ჰოქ ის ცუ! – ნუ ჩქარობ, სასულეში გეცემა ეგ ქუმელი!

სიხველო **sixqelō** ზმნ. нареч. adv. მეგრძისის მომდევნო წელს год, следующий за будущим годом a year after the following year. ას სიხველო სკოლ მთავრბადოს – მე მეგრძისის მომდევნო წელს სკოლას ვამთავრებ.

სიგსოქ: შადრ სიგსონე **siqsō: šajr siqsone** თავის დღეში არ ..., არასოდეს არ ... никогда в жизни не ... never in life. სად სიგსონე ცო აღოქდას მარნანახ მოსქ, პირიქით – ჩემს დღეში არ მითქვამს დედამთილზე ცუდი, პირიქით.

სნივლ[ე]ბა|დ|ალარ **snivl[e]ba|d|alar** გრღუგ. непрх. intrans. იგივეა, რაც то же, что the same as დასნივლ[ე]ბა|დ|ალარ **dasnivl[e]ba|d|alar**. ყანოლ თოლქ ივნეხ, ვაწიშ დასნივლბადვალ – სიბერე მოერია ივანეს, მძიმედ დასნეულდა.

სნივლ[ე]ბა|დ|არ **snivl[e]ba|d|ar** გრღმ. прех. trans. იგივეა, რაც то же, что the same as დასნივლ[ე]ბა|დ|არ **dasnivl[e]ba|d|ar**. ნისტეჩრ ადგლეგ ნახ ატამში სნივლბადო – ნესტიანი ადგილი ხალხს ადვილად ასნეულებს.

*სო² so² adit. აქეთ, [გად]მო-, [წა]მო- сюда, при- over here, this way (ზმნისართ-წინსართი, აღნიშნავს საგნის მოძრაობის მიმართულებას იქიდან აქეთ наречие-приставка, обозначает направление движения предмета оттуда сюда prefix-suffix denoting the destination of a subject from that side towards

here). ის უაგნო სო ვაბტდებალ სო – ეგ წიგნი მომაწოდე რა; ხი სო დოტე არ-
ხეს – წყალი გადმოვიდა არხზე; სო ჰაჭ, მოლოწ ჯანი დინას ჰო! – მოიხედე
(უყურე), როგორი ქალამნები ამოგისხი (გაგიკეთე)!

სოგეც soge' 1. თუ [ვინიცობაა] მე ... если [вдруг] меня ... if I ... სოგეც გაჭირბად-
ვადღჩე შო, მა დახათროლათ, ლავათ სოგო – თუ [ვინიცობაა] მე დაგჭირდეთ,
ნუ მოგეხათრებათ, გამაგებინეთ. 2. მელა только я [один] ... only me. სოგეც
ვისქსო კონხ – მელა დავრჩი ბარში. 3. თუ [ვინიცობაა] მო- если [вдруг] при-
if (ასრულებს პრეფიქსის ფუნქციას выполняет функцию префикса fulfills
the function of a prefix). მიხოს ვალ სოგეც დადღჩე შო, სო ლაცათ – მიხომ ვა-
ლი თუ [ვინიცობაა] მოგცათ, გამოართვით. 4. ზედმეტად მო- слишком при-
over, extremely (ასრულებს პრეფიქსის ფუნქციას выполняет функцию
префикса fulfills the function of a prefix). ე შიფერ სოგეც ბა ოწბიენო – ეს ში-
ფერი ზედმეტადაა გამოწეული.

სოდა[ჰ] soda[h] მმნ. нареч. adv. აქეთ-იქით, მო-წა-(გა[და]-), მო-მი- туда-сюда
here and there. ნიკო გორნაკმაქ ლათერ სოდა ჰეჭუშ – ნიკო გორანზე იდგა
აქეთ-იქით ყურებით.

სოდა[ჰ] ყასტარ (ყესტარ) soda[h] qastar (qestar) გრლუგ. непрх. intrans. ერ-
თმანეთთან დაშორება (დაშორდებიან), დაშორიშორება расста[ва]ться друг с
другом to separate from each other. ნაყა სოდა[ჰ] ყადსტანთხ – გზაში ერთმა-
ნეთს დაეშორდით.

სოდა[ჰ] ყასტ|დ|არ (ყესტ|დ|არ) soda[h] qast|d|ar (qest|d|ar) გრლმ. перх.
trans. დაშორება (დასაშორებს), გაყრა, დაშორიშორება заставлять / заставить
раста[ва]ться друг с другом to make separate. ელნეს დეწრი სოდა[ჰ] ყასტდიქ
– ელენემ შეყვარებულები დააშორიშორა (გაყარა).

სოდაჰუენი sodahujni მმნ. нареч. adv. გარდიგარდმო попере́к transversely. ის
ბაცო ყადტი სოდაჰუენ თაკ! – ეგ მოკლე ნაჭერი (ფარჩისა) გარდიგარდმო
დააკერე (ბ. ბ.)!

სოდა ჰუენი soda hujni მიმლ. прич. particip. წასაღებ-წამოსაღები დასარიგებ-
ლად, გასანაწილებლად то, что следует разнести для распределения, для
раздачи smth to be taken away to distribute. ე ხორბალ სოდა ჰუენი და ვადგო –
ეს ხორბალი წასაღებ-წამოსაღები (დასარიგებელი) გვაქვს (მე და შენ).

სო დ|აჰუენი so d|ahujni მიმლ. прич. particip. ის, რაც აქეთ მოაქვთ (მოჰქონ-
დათ); მოსატანი то, что несут, везут (несли, везли) сюда; то, что следует

принести (привезти) сюда for bringing. სო დნჰუნ კოს ქორლქ დალქ სოგო – აქეთ რომ ხის ჯამი მომქონდა, ხელიდან გამივარდა.

სოფლიონ დ **sopliō** j მსოფლიო мир, вселенная world. სოფლიო ჰოსან ცოლაღვი-ენნ სტაკ ცო ხილჷ! – მსოფლიოში შენისთანა უვარგისი კაცი არ იქნება! სოფლიონ დაჯონ და – მსოფლიო დიდია.

სოჰერწილნ დდ **soherçilā** dd უღელტეხილი, გადმოსასვლელი перевал (направление сюда) mountain pass. ხარც ლინხორათხ, ოსი სოჰერწილნ ცო დარონ – შეცდომით გვიძებნია თურმე, იქ გადმოსასვლელი არ ყოფილიყო.

*სომფლქ **somplē** 1. ჩემხელა, ჩემი სიმაღლო, ჩემი ზომისა, ჩემი გაბარიტებისა, ჩემი ფიზიკური მონაცემებისა моего роста, моих габаритов, моих физических данных sb. of my height and size. სომფლქ მუჰ ცოჰგჰჷ ჯადწუ – ჩემხელა ტვირთი არავის ჰკიდია. 2. ჩემხელა, ჩემი ტოლი, ჩემი ხნისა, ჩემი ასაკისა моего года, моего возраста sb. of my age . შარნ ვოტუშ, ის ფაშატანრო, ის დონანრო, აღონ [ადრჩლეს], აღვრდბნხ სომფლქ კნათი ბადხე, ჰამინაჟ დაჰ თელათ, მა ლაცბოთანრო – წასვლისას, ეგ ფაშატიო, ეგ ცხენიო, თქვა [არჩილმა], თუ აღავერდობისას ჩემხელა ბიჭები მოვლენ, ყველას ათხოვეთ, არ დაუჭიროთო (ბ. ც.).

სოწოლ[ობ] დ **soçol[ob]** j უჩემობა, ჩემ გარეშე ყოფნა пребывания без меня, не хватать меня being without me. სოწოლ[ობ] დნლ მა გაჭირბადმებალ შიქ – უჩემობა ღმერთმა ნუ გაგიჭირვოთ (გადაგატანინოთ).

სოლ **sōy** ჩემად, ჩემთვის, საჩემოდ мне for me. ის საქმ სოლ დით – ეგ საქმე მე (ჩემად) დამიტოვე, მომანდე (ჩემზე მოაგდე).

სრაჟ: სრაჟ ბ|ანარ (ბ|ახარ) **sraç: sraç b|aqar (b|axar)** გრდმ. перх. trans. უცაბელი სისწრაფით გაძრომა (გაქვრება), გაქრობა, წასვლა, გაპარვა СМЫТЬСЯ, быстро и незаметно уходить / уйти, убежать / убежать откуда-либо, исчезать / исчезнут to escape with sudden speed. სო ვაგინო უქ სრაჟ ბახო, ცომ დნჰ ჰოგო დავდიენო? – ჩემს დანახვაზე რატომ ქრები უცაბედად, თუ არათყერი გაქვს დაშავებული? ესე დარ ლეყოქ, სრაჟ ბანონ – აქ იყო მწყერი და უცბად გაქრა.

სრაჟანრო **sraçajno** ზმნს. нареч. adv. უცაბელი დასხლტომით быстро и незаметно (об уходе откуда-либо) with sudden escape. ვოჰ სრაჟანრო ბშარკკიკონ ვავონ სოგო – ბიჭი უცაბელი დასხლტომით თვალსაწიერიდან დამეკარგა.

სრიჟ: სრიჟ ჰეგარ (ჰანარ) **sriç: sriç heqar (haqar)** გრდმ. перх. trans. 1. თეხის

გასმა ცეკვის ღროს (ფეხს [გა]უსვამს) особое движение ногами при грузинском танце making a pas when dancing. პაპრზ კარლოს მძარლ ჰეგაღლა-თერ სრიკ, კნათი, ლეთხან იხოშ! – კარლო პაპაშვილი მაგარ გასმას აკეთებდა ხოლმე, ბიჭებო, ცეკვისას! 2. გადატ. перен. fig. სწრაფი, მსუბუქი, ხალისიანი სიარული (დადის) лёгкая, быстрая походка fast, light, joyful walk. ხან დახჭირო მა-მუკლარ ელ-შილაძოს წყე აღირ სოგრო: ეჰ, ესმან, სრიკ ცო ჰეგმაკეკ სონანდრო... – ხანშიშესულმა მამუკაანთ დეიდაშვილმა ელომ ერთხელ მითხრა: ეჰ, ესმა, მსუბუქად ველარ დავდივარო (ე. თ.).

სრინა|დ|ალარ srina|d|alar გრლუფ. непрх. intrans. ცრა ატმოსფერული ნალექისა (ცრის), ჟინჟღვლა (ჟინჟღლაგს) моросить drizzling. თხა დეფცჰაყ ყარ სრინა-ლა – დღეს მთელი დღე ჟინჟღლაგს.

სრტტ დ **srīt** j1. ცინგლი, ცხვირიდან გამონადენი თხელი ლორწო сопля из носа snot from nose. ფშელ დაშ კაწკაძი ბანდრიგო მარლანხ ბჰს სრტტ ვადწუ – როცა ცივა (სიცივისას), პატარა ბავშვებს ცხვირზე სულ ცინგლი ჰკიდიათ. 2. სვინტრი (მცენარე) купена, соломонова печать Solomon's Seal (a plant). ე ჰქლო დალენო სრტტ მოჰ ბაყეუ სრტტეს და თარლენო! – ეს ტყეში მოსული სვინტრი როგორ მართლა ცინგლსა ჰგავს! 2. ჭორიკანა, ჭორტანა tradescantia. ჰუნს სრტტ ოთახ სრტტე ნათესავ კად დალო? – სვინტრი, ნეტავი, ნათესავია ტრადესკანციისა.

სრტტჟ, სრტტელჟ srītĕ, srītĕlē წვინტლიანი сопливый, в соплях, с соплями snotty. ზორადში ყახეთ სო სრინტელჟ ბანდრი – ძალიან მეცოდებიან წვინტლიანი ბავშვები.

სროტო დ **srotô** j1 პაწია ხვრელი, ნახვრეტი, ნახვრეტი маленькая дырочка little hole. პადლე დახკივ სროტ და დანო – სარდაფში თავგს პაწია ხვრელი გაუკეთებია; ე შკათეხ ნჰანივ სროტუდ დახო – ამ კარადას ჭიები ნახვრეტებს უკეთებენ.

სტაბლუენი s̄tablujnī ზმნს. нареч. adv. შემოდგომისთვის, საშემოდგომოდ на осень, к осени for the autumn. ვად ნახვ ქუდრწლი სტაბლუენ გეგმადღლათერ – ჩვენი ხალხი ქორწილებს შემოდგომისთვის გეგმავდა ხოლმე.

სტაბოცჰაყ s̄taboča' ზმნს. нареч. adv. მთელი შემოდგომა, მთელი შემოდგომის განმავლობაში в течение всей осени, всю осень throughout autumn. ცენეს სტაბოცჰაყ ყარ დათხან კახთი – წელს მთელი შემოდგომა იწვიმა კახეთში.

სტაბ-სტაბო s̄tab-s̄tabo ზმნს. нареч. adv. შემოდგომობით по осени in autumns. სტაბ-სტაბო ღალუენი ქჰქელა ნახ – შემოდგომობით ზამთრისთვის ემზადება ხალხი.

სტაბხანს **stābxanā** j შემოდგომის დრო, შემოდგომის ჟამი *осенняя пора autumn time*. სტაბხანს აგერ ას სალთეს ვოტუშ – შემოდგომის ჟამი იყო, მე რომ ჯვარში მივდიოდი.

სტაბხანე **stābxane** ზმნს. нареч. adv. შემოდგომის დროს, შემოდგომის ჟამს, ხანს *в осеннее время at autumn time*. სტაბხანე ლამნს ამძღუჲ ჰალ წანარლა – შემოდგომის ხანს მთებში ამინდები იწმინდება (ლაგდება).

სტავნი დ **stāvni d** მრ. მნ. pl. დარაბები *ставни shutters*. ბჰარკ ბესკბალო, სტავნი დაჰ დებათ! – დაღამდა, დარაბები მიხურეთ (ბ. ბ.)!

სტაკლეშ **stākyeš** ზმნს. нареч. adv. კაცურად, მამაკაცურად, ვაჟკაცურად *по-мужски, по-муштински, по-мужицки like men; in a manly way*. ბაცბს მასკარნ ყორბალა სტაკლეშ ლეთხა იხარ – თუშის გოგოებს უყვართ მამაკაცურად ცეკვა.

*სტაშამი **st[wa]mī** სქელი; მსხვილი *толстый thick* (იტყვიან ადამიანზე, ხეზე, ჯოხზე ... *говорять о человеке, дереве, палке ... is said on people, tree, stick ...*). სტაშამიხრ სტაკგოაჰი დაჯონ გაგასრ და – სქელ კაცს დიდი მუცელი აქვს. შდრ. ср. comp. დიუყნ **d|uqĩ**.

სტაშამოლ **st[wa]amol** j სისქე, როგორც ასეთი *толщина как таковая thickness*. ე ხენი სტაშამოლ ბეკეთ სონ – ამ ხის სისქე მიკვირს.

-სტაშამოლ **st[wa]amol** -სისქე, -სიმსხო *толщины thickness* (სხვა საგანთან შედარებისას *при сравнении с другим предметом when comparing other subject*). სტენსტაშამოლ ხე ბა ი თელვერქ ჭადარ – რამსიმსხო ხეა ეს თელავის ჭადარი; სო ჰონსტაშამოლ ცო ვასრ – მე შენსიმსხო არ ვარ.

სტაშამ-გამი **st[wa]am-qamĩ** მოსქელო, არცთუ მსუქანი, არცთუ სქელი, არცთუ მსხვილი *толстоватый, толстеный thick like, neither fat*. ლაჯიხრ დედქ სტაშამ-გამი სტაკ ვარ სქ მარდად – მაღალი ტანის არცთუ მსხვილი (სქელი) კაცი იყო ჩემი მამამთილი.

სტაუხკო **stāuxkō** j შარშანდელი წელი *прошедший, прошлый год previous year*. სტაუხკო დარ, ას ჰო ვადწიე – შარშანდელი წელი იყო, მე რომ შენ გაგიცანი.

სტაუხკახ, სტაუხკოხ **stāuxkāx, stāuxkōx** ზმნს. нареч. adv. სადღაც შარშან, სადღაც გასულ წელს *где-то в прошлом году somewhere the previous year*. სტაუხკოხ და სოგო თაგიენრ ე წა – სადღაც შარშან მაქვს გაკეთებული ეს სახლი.

სტევან **stevā** რამაც, რითაც ... *чем и ... from which ...* დეფც სოგო, სტევან დაჰრ ქოთდიენრ – მიაბე, რითაც ხარ შეწუხებული.

სტენნს **stennā** რასაც ... за чем и ... what ... სტენნა თხილლარას, ო ამბუდ ჰამინას
ჰალ ხაყი – რასაც ვუფრთხილდებოდი, ის ამბავი ყველამ გაიგო.

სტენნს **stēnxā** რაზეც, რის შესახებაც ... про что и ... about what ... სტენნს დაკ-
ლიერას, ჰალრ აცხადებადალ სო – რაზეც ვფიქრობდი, ამისრულდა.

სუდღე, სოღე **suḡē, soḡē** ჩემებური, ჩემნაირი **свойственный, характерный мне**
like me. სუდღე ალალ სტაკ ლეხოს ნაყბისტელ – ჩემნაირ ალალ კაცს ვეძებ სა-
მეგობროდ (საამხანაგოდ).

სუდღეშ, სოღეშ **suḡeš, soḡeš** ჩემებურად, ჩემნაირად **мне подобно, по моему**
like me. სუდღეშ – თამამათ, ლანჩირ აშარე – დალოცადინას ნოფანი – ჩემებუ-
რად – თამამად, მაღალი ხმით – დავლოცე ნეფიონი (ნეფე-დედოფალი).

*სუკ ბ (სუკი მ მრ. მნ. pl.) **suḡ b (suḡi j მრ. მნ. pl.)** ზურგი **спина back.**

სუკანღდა, სუკალნ იხარ, დოტარ (დ|ახარ) **suḡāyda, suḡayā ixar, d|otar (d|axar)** გრღუფ. გადატ. **непрх. перен. intrans. fig.** უგემურად ჭამა რამისა ამა
თუ იმ განცდის, პრობლემის გამო **есть (кушать) невкусно из-за какого-либо**
переживания, из-за какой-либо проблемы eating in bad taste for having
certain problem. შილუფ ამბუდ ხაყიჩონ სუკალნ იხარ სო უმაყ! – შილოს (ქალის
სახელია) ამბავი რომ გაგიგე, უგემურად ვჭამ ყველაფერს!

სხამ¹ ბდ **sxam¹ bd** შხამი яд, отрава **poison.** ყაჭე დოშ ჰამახეც ბაჯუფხუ სხამ ბა –
მწარე სიტყვა ყველაზე დიდი შხამია.

სხამ² **sxam²** ძალიან ძლაშე, გადამლაშებული **пересоленный very salty, oversalted.** ე
უხ სხამ თელო[ჰ] სო, დოუ! – ამას რა გადამლაშებულს მაჭმევ, ქალო (კ. ჭ.)!

სხაბ: სხაბ ბ|აჯარ **sxap: sxap b|aqar** გრღმ. **перх. trans.** ელვის სისწრაფით მოწყდო-
მა ადგილიდან (მოწყდება, მოქუსლავს, გაიქცევა) **молниеносно рвануть[ся]**
с места to rush away with highest speed. ნიშნადიე'ნეს, ილოს სხაბ ბაჯარ ისერე
– ვანიშნე და ილო ელვის სისწრაფით მოსწყდა აქაურობას.

სხაპადნრ **sxapajnd** მმნს. **нареч. adv.** ელვისებრ, ელვის სისწრაფით, უმაღ, მომენტა-
ლურად **момენტально, молниеносно, в минуту, в миг in an instant.** სო ვადგჩე
სიძე სხაპადნრ ჰალრ ლაქვალთ სუფრქმაქრქ – ჩემს დანახვაზე სიძე უმაღ წა-
მოდგა სუფრიდან.

*სჯარ ბდ **sǎgar bd** ფერდობზე დაგორებული ქვა, ლოდი **камень, глыба**
летящий(ая) по склону large rock rolled down the slope. ფეშკრი, მა ჰერშოთ
ის საგრი, ცო ხილუ! – ბაღლებო, ნუ აგორებთ ფერდობზე მაგ დიდ ქვებს, არ
იქნება (არ შეიძლება)!



ტამპაანო, ტამპაიდ-ტუმპაანო **tampajno, tampa'id-tumpajno** ზმნ. нареч. adv.

ტამპა-ტუმპით, ხმაბაძვითი სიტყვაა და გადმოსცემს მწიფე მარცვლოვანი, კენკროვანი ნაყოფის (თუთის, ბლის, ყურძნის...) დავარდნის ხმას *звуконподражательное слово, передающее звуки падения спелых ягод clattering-imitating word expressing the dropping sound of ripen fruit*. ეპპ, გო-გი... სო დაჰ მაღლჩე, დახო თუთი დეწიც სო მაქ აკან ტამპაიდ-ტუმპაანო, ვოჰ, ადლნორო [თამროს] – ეპპ, გოგი... მე რომ მოვკვდები, ო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო, თუთები უნდა ცვიოდეს ჩემზე ტამპა-ტუმპით, ბიჭოო [ეთქვა თამარას] (ა. ბ.). ჰაყე, კნათი, ო დაჰ ლეჭყდოხ დენი... დახო ო შარონ ბჟარკისანეც დაჰან ღარჰონ თუთიან ცუდ აუკანორო თამრუდნ ტამპ-ტუმპაანო! – ჰოდა, ბიჭებო, იმ დაკრძალვის დღეს... ო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო, იმ თავისი თვალებისნაირივე მსხვილი შავი თუთები არ ეყრებოდა თურმე თამარას ტამპა-ტუმპით! (ა. ბ.).

* **ტანკ, ტანკ-ტარკ** ბჲ **tāk, tāk-tark** ბჲ ნეკი, ნეკა თითი *мизинец little finger*. კაწ-კუდნო ტარკეხ ტანკ (ტანკ-ტარკ) დო – პატარა თითს *ნეკს* ეძახიან; ტანკ-ტარკეხ ტარდ უდლნას – ნეკა თითზე ბეჭელი ჩამოვაცვი (გავიკეთე); წკიპუნ მოწონადვალონ [ლეკან] დაკლონ კნათ, ტანკ-ტარკ დაჰ თიტე'ნე, დაჰან ხეცონ: სქ ლიშან ხილან ჰოგოჰაანო – წკიპონს მოეწონა ლეკის გულადი ბიჭი, ნეკა თითი მო-აჭრა და გაუშვა: ჩემი ნიშანი გქონდესო (ნ. მ.).

ტა-პჟეტერ ბჲ **ta-pwëter** ჯ მრ. მნ. pl. ბეჭები (მხრები) და ნეკნები *лопатки и рёбра shoulders and ribs*. ტა-პჟეტერ და სოგო ფშელდიენო – ბეჭები (მხრები) და ნეკნები მაქვს გაცეიებული.

* **ტარ** ბჲ **tar** ბჲ ძუძუ *грудь; сосок вымени breast*.

ტარანცო ბეფლარ (ბოლარ) tar[a'ð] b|eplar (b|ofar) გრლუგ. непрх. intrans. სქესობრივ სიმწიფეში შესვლა (შევა), კაცობის/ქალობის გაჩენა, შეპარვა, დაწყება (გაუხრდება, შეეპარება, დაეწყება) *вступать (вступить) в половую зрелость to become sexually mature*. ტარიელენ ტარანცო თაბით ბოლარ – ტარიელს, ვგონებ, კაცობა შეეპარა; ფეშკარ, ბაჯანუდლო მა რევალა, ტარანცო ცო ბოლარა ჰო! – ბაღლო, დიდებში ნუ ერევი, კაცობა არ დაეწყება (ჯერ კაცი არა ხარ)!

* ტარკ ბჲ **ṭarḳ** bj 1. თითი палец finger.

* ტარკ ტარუდ ბ|ოლარ (ბ|ებლარ) **ṭarḳ taruj b|oḷar (b|eblar)** გრძმ. прх. trans. ზედმიწევნით, დაწვრილებით [ზელში თითის ჩადებით] ახსნა-განმარტება (ზედმიწევნით, დაწვრილებით აუხსნის, განუმარტავს), ერთი და იმავეს ბევრჯერ, დაწვრილებით გაქორება, „დაღეჭვა“ თანამოსაუბრისთვის *объяснить, разъяснить досконально; многократное повторение, «разжёвывание»* одного и того же собеседнику to explain thoroughly, to repeat one and the same thing for several times for clarifying. აგას სტემახეც ტარკ ტარუდ ბოლარ სრ – ბებიაჲ ყველაფერი ზედმიწევნით ამიხსნა.

ტატქ-ტატქ[ე]ჩო **ṭaṭḫ-ṭaṭḫ[e]čʰo** ზმნს. нареч. adv. მუდმივად სველ მდგომარეობაში вечно в мокром состоянии constantly in wet condition. ბჱჱ ტატქ-ტატქ[ე]ჩო ბა მემცხორი – მუდმივად სველ მდგომარეობაში არიან მწყემსები.

ტაშხოშარქ **ṭašxošārē** ვაჟკაცური შესახედაობის, გარეგნობის, მიხრამიხრის, ჩვევების მქონე (იტყვიან ახალგაზრდა მამაკაცზე) мужественного вида (о юноше) having man like appearance and habits (is said about a young man). წონალა სრ ტაშხოშარქ ყონარ კნათი – მომწონს ვაჟკაცური შესახედაობის ჭაბუკები.

* ტე¹ ო **ṭe¹** j ხსენი молозиво foremilk.

* ტე², ტე³ ო **ṭe², ṭeā** jj მთის სერი продолговатая гора, поверхность такой горы hillock, hill of the mountain.

ტეხ იხარ (დ|ალარ) **ṭex ixar (d|aḷar)** გრძფ. непрх. intrans. სერზე, უღელტეხილზე სვლა (ივლის), გადასვლა (გადავა) перейти (переходить) перевал to overpass the passage. ვარ კნათი ფსარე ტეხ ბალქ – ჩვენი ბიჭები გუშინ სერზე (უღელტეხილზე) გადავიდნენ.

ტეხ დ|ახარ (დ|აჯარ) **ṭex d|āxar (d|aqaḷar)** გრძმ. перх. intrans. სერზე, უღელტეხილზე გადაყვანა (გადაიყვანს) переводить / перевести кого-либо через перевал taking sb over mountain pass. ვად კნათივ ფსარე ქე ტეხ დახარ – ჩვენმა ბიჭებმა გუშინ ცხვარი სერზე (უღელტეხილზე) გადაიყვანეს.

ტეხ იხუდლან (დ|ალუდლან) დდ **ṭex ixujlā (d|aḷujlā)** dd უღელტეხილი перевал mountain pass. ესერნა ჩაჯ და ტეხ იხუდლან – აქედან შორსაა უღელტეხილი.

ტენა|დ|ალარ, ჰეტ|დ|ალარ (ჰოტ|დ|ალარ) **ṭena|d|alar, ḥeṭ|d|alar (hoṭ|d|alar)** გრძფ. непрх. intrans. (ტქ < ტენ ṭē < ten ლათინ. латин. Latin penis) რშე|ტენა (რშე|ეტენება), ჩრა (რშე|ეჩრება) сுவаться cramming in. მიჩხმაც ცო დეწ ადმიქ ჰეტ|დ|ალარ – ყველგან არ უნდა ეტენოს ადამიანი.

ტენადარ, ჰეტდარ (ჰოტდარ) **tena|dar, het|dar (hot|dar)** გრემ. прх. trans. (ტქ < ტენ **tē** < **ten** ლათინ. латин. Latin penis) [შე]ტენა ([შე]ტენის), ჩრა ([შე]ჩრის) сுவать cramming in. მა ჰეტდოგე ის ლოჭ ის შტოფი – ნულარ ჩრი მაგ ჯოხს მაგ შტოფში.

ტყერნ: ტყერნ დეტარ (დოტარ) **teqra: teqra d|etar (d|otar)** გრლუგ. непрх. intrans. წელ-მკერდის გამოზნეჟა წინ (გამოზნეჟს), გაჯგიმვა **выпячиват, выставлять грудь при ходьбе stretching out.** ვაჯო მხატვარ – ბადრთლან ჯორჯი – თხნ ტყოც ტყერნ ვეტეშ ლელე – დიდი მხატვარი – ბართიანთ ჯორჯი – დღესაც წელ-მკერდის გამოზნეჟით (გაჯგიმული) დადის.

* ტიალ[რ] **tial[ō]** შორისდ. межд. Inter. ტიალო Тиало Tialo.²³ გორნკენ არლეს წიწყურაჲ მარ ცჰადნ ღროჰ, ატეხ მს, ტიალო, კნათი, სქ თხაკალყურაჲ – გორაკის მარცხნივ წიწალყურე იყო ერთ ღროს, მარჯვნივ კი, ტიალო, ბიჭებო, ჩემი თხაკალყურე (ა. ბ.); ტიალოოო, ყტროშ აღინრ დაშნი მოც და ვაჟგრან აღექსიგო: „დაჰ დენანდალქ, დასდალქ დადიწქ დისენრ ლამნიენრ!..“ – ტიალო, როგორი გულის სიღრმიდან ნათქვამი სიტყვები აქვს აღექსი მიქელაძეს: „ცვეთა და ნგრევა იწყეს, დაცარიელდნენ უპატრონოდ შეთენილი მთანიო...“ (მ. ჯ.).

ტიტასრ¹ დღ **tita'ō¹** dd ტეტია, უქონელ-უცოდნელი плебей, мужлан, быдло, чернь country bumpkin. ტიტასრ ვადნრ, ილსოს დაჰ ცო ვიქ ივსებ – ტეტიააო, ელისომ არ შეირთო იოსები.

ტიტასრ² დღ **tita'ō²** dd ტიტა тюльпан tulip. ეზო ღუჯ ტიტასუდ ღედახკ სოგო – ეზოში ბევრი ტიტა მიღვას.

²³ ეს განსაკუთრებული შორისდებულია, რომელიც არ ექვემდებარება სრულ განმარტებას; რომ მიეუახლოვდეთ ამ სიტყვის მნიშვნელობას, უნდა ვიყოთ დაბადებული და გაზრდილი მოცემული ენის მატარებლებს შორის; ეს სიტყვა ერთგვარ რომანტიკულ შეფასებას აძლევს როგორც კარგად ნაცნობ წარსულს, ისე ჯერ კიდევ უცნობ მომავალს; ამ შორისდებულის ხმარება მოსაუბრესაც და თანამოსაუბრეებსაც მუხტავს რომანტიკულობით, რითაც საუბარი ხდება ექსპრესიული იმდენად, რომ, გრძნობათა მოწოდების შედეგად, ის (საუბარი) შეიძლება შეწყდეს კიდევაც გარკვეული დროით; კიდევ უფრო ღრმა ემოციურ დატვირთვას იძენს ეს სიტყვა, როცა მანდილოსნები აფორმებენ ტიალოოო **tialooo** სახით это – особое междометие, которое не подчиняется полному толкованию; чтобы приблизиться к значению этого слова, надо быть рождённым и выросшим среди носителей данного языка; это слово даёт своего рода романтическую оценку как хорошо знакомому прошлому, так и неведомому ещё будущему; употребление этого междометия и говорящего, и собеседника заряжает романтичностью, благодаря чему беседа становится столь экспрессивной, что из-за приплыва чувств она может даже прерваться на определённое время; более глубокую эмоциональную нагрузку приобретает это слово при оформлении его женщинами в виде **ტიალოოო tialooo** this is special interjection which doesn't subordinate to complete explanation; in order to come closer to the meaning of this word we should be born and raised among the people speaking this language; this word gives certain romantic evaluation to the well-known past as well as to the obscure future; usage of this interjection fills the speaker and collocutor with romantic mood and with the help of this the conversation becomes such expressive that after so many feelings it can be stopped for certain time; this word takes more emotional coloring when it is formed by women as **ტიალოოო tialooo**.

* **ტოლიკ** დღ **tolik** dd 1. უხეში ქეჩის ნაბადი род грубой войлочной бурки rude felt cloak. ტუდლკან ბოფხბალოჩო ქისტან ბჭარვანქსო – ქეჩის ნაბდებში ჩაცმულ ქისტებს შევხვდი. 2. თუშური შალის თხელი, მაგრამ უხეში ფარდაგისმაგვარი საფენები ზედ მარცვლეულის ან სხვა რამის გასაშლელად тонкое, но грубое ткацкое изделие из тушинской шерсти для подстилки Tushetian thin, but rough woolen rug to spread grains on it. ხორბალ ლაფსაძ მუზობლეს ტუდლკი დიხნას – ხორბლის გასაშრობად მუზობელს „ტოლიკები“ ვეთხოვე. შრ. მნ. pl. ტუდლკი **tujlki**.

* **ტოტ**¹ დღ **tot**¹ dj ხელი, როგორც სხეულის ნაწილი, როგორც ფიზიოლოგიური (ბიოლოგიური) მოცემულობა; თათი, ტოტი (ცხოველისა) рука; лапа (животного), рука как физиологическое (биологическое) данное; лапа (животного) hand; paw, branch. ატო ტოტ, არლო ტოტ – მარჯვენა ხელი, მარცხენა ხელი; ტოტ ვაწდარ – ხელის ჩავლება, წავლება; ტოტი აკდარ – ხელების კანკალი; ტოტი დილარ – ხელების დაბანა; იენეგო მაძა ტოტი მა – ივანეს დიდი ხელები აქვს; აპი, სე ატო ტოტ, აპი, სე არლო ტოტ – აი, ჩემი მარჯვენა ხელი, აი, ჩემი მარცხენა ხელი; ტოტ ვაწდარ – ხელის ჩავლება, წავლება; ტოტი აკდარ – ხელების კანკალი; ტოტი დილარ – ხელების დაბანა; ლეოს ტოტ ლაწდიქ – ლეომ ხელი იტკინა; ლეუნ ტოტეს ზირზიტაც დალქ – ლეოს ხელზე ძირმაგარა ამოუვიდა; ლეოს ტოტი დილო – ლეო ხელებს იბანს; ლეო ცჰამტოტლო ვა – ლეო ცალხელაა. შრ. სრ. comp. ქო **qo**.

ტოტ² დღ **tot**² dd ხის ტოტი ветка дерева branch of a tree ხენქეგო ტოტნი თიტნას – ხეს ტოტები დავაჭერი (შევაჭერი). ბუჰადვალანლათერ ფილიბ-ბიძი, ემატნობინ ბალქ ტოტნი ყჭეგარ ხეყინო! – ბობოქრობდა ხოლმე ფილიბე ძია, ამმატნელებმა ბლის ტოტების მტვრევა იციანო!

ტოტ³ დღ **tot**³ dd ლუცი აгазиллис кавказский Caucasian Agasyllis, Agasyllis caucasicum (Latin). ზურბეს წიფლნირქ ტოტ დეყქ თხო – ზურაბმა წიფლოვანიდან ლუცი მოგვიტანა.

ტოტნადარ (დატოტნადარ) **totna|dar** (**datotna|dar**) გრდმ. перх. trans. ხელში გოგმანი (აგოგმანებს), ხელში ტრიალი, ხელში თამაში (ათამაშებს), ხელით სინჯვა крутить в руках, щупать руками to hold smth. in hand for a long time. მაცლომცო ტოტნადო ის მაროქნ, დაჰ დაშ ჰოგო – როდემდე ატრიალებ ხელში მაგ ნაყინს, გაგიდნება; დადას საყური იცნო მაჰონ, დიქდექცჰაც ობი ტოტნადო – მამას საყურეები უყიდა ქალიშვილისთვის და მთელი დღე იმათ აგოგმანებს ხელში.

ტოტნადითარ (დატოტნადითარ) **totna|ditar** (**datotna|ditar**) გრდმ. перх.

trans. ხელში გოგმანი (ავოგმანებინებს), ხელში ტრიალი, ხელში თამაში (ათამაშებინებს), ხელით სინჯვა *заставлять / заставить крутить в руках, щупать руками moving to and fro in the hands*. **მაცლომცოტ ტოტნადითო ის მაროჟნ ის ფეშკრეგო, დაჰ დაშიცო** – როდემდე ატრიალებინებ ხელში მაგ ნაყინს მაგ ბალღს, დნება აკი.

* **ტოტ-ქოკ დჲ tot-kok dj** ხელ-ფეხი, ხელები და ფეხები *руки и ноги hands and legs*. ნან სერტერ დაჰოხ: **ტოტ-ქოკი ყ[შ]ეგლადალო ჰქ, იშტყ მალქ მე დაჰოჲ, ქორო ცომ იხო ჰონადნო!** – დედა წყევლიდა ქალს: ხელ-ფეხი დაგემტვრეს, ასეთი ზარმაცი რომ ხარ და ხელში არაფერი მოგდისო! **ტოტ-ქოკ ჩუ შეყდებ!** – ხელ-ფეხი გააჩერე (დააყენე)!

ტოჩიტოჩით točitočit ზმნს. нареч. adv. ზუსტად, ზედმიწევნით *точно, досконально exactly, thoroughly*. **ტოჩიტოჩით დეფცო სოგო ალექსის შარქ ვა შარე გერმანბა ტყველ ხილარ** – ზედმიწევნით მიაშობ ალექსიმ თავისი სამი წელი გერმანელების ტყვედ ყოფნა.

ტყაეხიტეგო tqaexitegō ოცდაათიოდე, ოცდაათამდე *около тридцати nearly thirty*. **ტყაეხიტეგო ქელრქ დაგროვბადლო სო ლაჟმე დიკანე, ჰალ დუგარდ** – ოცდაათიოდე ცხვარი მომიგროვდა მთაში წასაყვანად და გასამრავლებლად (ე. ქ.).

ტყალაპ ბდ tqalap bd მატყლის ნაპარსის გარკვეული ნაწილი, ნაჭერი, გამზადებული გასარეცხად, გასაშრობად და, ბოლოს, დასაჩეხად *часть стриженной шерсти, подготовленная для стирки, просушивания и, наконец, для чесания certain part of wool ready for washing, drying and finally carding*. **ის ტყალაპ ბალქ სე კაჭარნ** – ცხრა ნაჭერი გამოვიდა ჩემი მატყლისაგან; **სტაკოვ დეჟქრო კაჭარნი ფხიიტ ტყალაპ ბალქ სო** – კაცის (ქმრის) მოტანილი მატყლისგან თხუთმეტი „ტყალაპი“ გამომივიდა.

ტყალაჟე tqalpū ბრტყელი *плоский flat, even*. **ტყალაჟე ძირ ბარ ტუფლიგოჰე, ცო მოწონადბლო სო ეცა** – ბრტყელი ძირი ჰქონდა ტუფლებს და არ მომეწონა საყიდლად; **მოლოჟე ტყალაჟე მა ვუდ მათო[ჰ]ი** – რა ბრტყელ პურებს აცხობ.

ტყაპ: ტყაპ ბახარ (ბახარ) tqap: tqap b|axar (b|aqar) გრლუგ. непрх. intrans. ტყაპანის გადენა (წმოადენს) *шлёпнуться, плюхнуться, ляпнуться, шмякнуться sudden fall*. **ბანდრეგო ქოკ დასხლეწტადბალი'ნე, გუბელო ბაგე ტყაპ** – ბავშვს ფეხი დაუცდა და გუბეში მოადინა ტყაპანი.

ტყაპ ბახითარ (ბახითარ) tqap b|axitar (b|aqitar) გრლმ. перх. trans. ტყაპანის გამოცემინება (გამოაცემინებს) *шлёпать / шлёпнуть the sound of sudden*

fall. ნანას მათხ დახომ მათიშგო ტყაპ ბახითაღათე – გამომწეურებისას დედა ლოგინებს ტყაპანს გამოაცემინებს ხოლმე.

ტყაპ დ|ითარ ṭqap d|itar გრძმ. перх. trans. ტყაპუნი (დასატყაპუნებს, დასუტყაპუნებს), ტყაპანით რტყმა, ცემა шлѣпать, бить slap, beating. მჭედლეს უნმაკ ტყაპ დითორ გრდემლმაქ ურუდგო – მჭედელი მთელი ძალით ატყაპუნებდა გრდემლზე უროს. 2. გადატ. перен. fig. ხშირად ცემა ვინმესი ან რამისა (სცემს), ბაგუნი (დასუბაგუნებს) часто бить to beat sb. often. იცხუს შადრ ფსტუნან ბჟა ტყაპ დითორ – ეგ თავის ცოლს სულ უბაგუნებს.

ტყაპანო ṭqapajno მჟნს. нареч. adv. ტყაპანით со шлѣпом with banging. ტყაპანო ვორ ვეთო სოქ ქუდრთმაქ – ტყაპანით ვაშლი დამეცა თავზე.

ტყაპანო დაკდასარ გრლუგ. непрх. intrans. უცებ და ნათლად გახსენება (დასახსენდება) вспомнить неожиданно, мгновенно to remember suddenly and clearly. ჰო ვადგჩე, ტყაპანო სქ კაწკლობ დაკდექ სოქ, ტიალო... – შენ რომ დაგინახე, უცებ და ნათლად ჩემი ბავშვობა გამახსენდა, ტიალი...

ტყარ დ ṭqar d ხ 1. ხმაბაძე. звук. опом. რისამე რამეზე დარტყმის ხმა звук, издаваемый при ударе чего-либо на кого/что-либо the sound of blowing smth. somewhere. ტყარ ლოჭეგო დითორ შოთას ათან, შურ მახკითოქ სოგუნო! – ჯოხს უშენდა შოთა ძროხას, რძე დამადგრევენაო!

ტყარ გარმონეგო დ|ითარ ṭqar garmonegô d|itar გრძმ. перх. trans. ლაღად, მთელი გატაცებით, ძგრიალით, მთელი ხმით დაკვრა გარმონისა (დასუკრაავს) играть на гармошке со всем увлечением to play the accordion freely, with complete enthusiasm and with full sound. ... დუდ ქორდო ვად, წიგორღა ჰალოლო ვად, ტყარ გარმონეგო დითომ – ... ცხენები ვიშოგოთ და ვიაროთ წინაგორის გზაზე ლაღად გარმონის დაკვრით (მზ. ჯ.).²⁴ შდრ. ср. comp. ტყარაშ ṭqarash.

ტყატე ბ ṭqatq b დიდი რამ აურზაური, აყალმაყალი, ალიაქოთი, ღრიანცელი суетливая беготня, переполох, суматоха, толкотня big garboil (ბ. ბ.).

ტყატე ბათარ, ბალარ ṭqatq b|atar, b|alar გრლუგ. непрх. intrans. დიდი რამ აურზაურის, აყალმაყალის, ალიაქოთის, ღრიანცელის არსებობა (არსებობს) наличие суетливой беготни, переполоха, суматохи, толкотни great chaos, confusion. ბირკაყუდგო ბუსცჰანე ტყატე ბათურ (ბალორ) – ბერიკებს მთელი დამე აურზაური ედგათ (ჰქონდათ) (ბ. ბ.).

²⁴ ასეთი ვერბალური რეაქცია ჰქონდა მზია ჯიხოშვილს ძველი თუშების ფოტოსურათის ხილვაზე სოცქსელებში: ამ ფრაზით ის საბერძნეთში მყოფ მერი ჯიხოშვილს ეპატიყება თუშური მთებისკენ.

ტყატყ ბეთარ, ბებლარ (ბოთარ, ბოლარ) **tqatq b|etar, b|eblar (b|otar, b|olar)** გრძმ. перх. trans. დიდი რამ აურზაურის, აყალმაყალის, ალიაქოთის, ღრიანცელის ატეხა (ჩატეხს) *поднимать / поднять суетливую беготню, переполох, суматоху, толкотню to start big chaos and confusion.* ბირკასუდგ ტყატყ ბოთარ (ბალარ) – ბერიკებმა დიდი რამ აურზაური, აყალმაყალი, ალიაქოთი, ღრიანცელი ატეხეს (ბ. ბ.).

ტყა-ტყ **tqa-tq** ოც-ოცი, ოც-ოცობით *по двадцать in twenty pound notes.* ის ტათებ ტყა-ტყ დაკარდებ! – ეგ ფული ოც-ოცი (ოც-ოცობით) დათვალე! (ბ. ბ.).

ტყლაშანო, ტყრაშანო **tqlaşajnô, tqraşajnô** ზმნს. нареч. adv. 1. ტყლაშანით, ტყლაშუნით *со шлёпом cracking.* ტყრაშანო ეტერ კეცმაქ დიხკენო ყაშნქ სიმინდ – ტყლაშანით სკდებოდა ტაფაზე დაყრილი ბატბუტის სიმინდი. 2. გაღატ. перен. fig. აშკარად, ღიად, გამოსახინად, მოულოდნელად *явно, открыто, неожиданно obviously, surprisingly.* ას ცხოვრბა მახითენო შეცდომი უმაც ტყრაშანო ჰათხ დიხქ სო ილკოს – ჩემს მიერ ცხოვრებამ დაშვებული შეცდომები მოულოდნელად ყველა წინ დამილაგა (ჩამომითვალა) ილიკომ (ე. ქ.).

* ტყრაშ დ **tqraş** დ 1. ხმაბაძგ. звукоп. оном. რისამე მოქნევის, გარტყმის, დაცემის, გასკდომის ხმა, ტყლაშანი, ტყლაშუნი *шлепок, шлёпанье, хлопок voice of falling sth, voice of striking, voice of bursting.* სტენახხო ტყლაშ ხაწქ სო დუდახ – რაღაცის ტყლაშანი (ტყლაშუნი) მომესმა წელან. 2. ბდ *bd* ახალგაზრდული სამხიარულო შეყრა, ღხინი *молодёжное вечернее веселье youngish entertaining and amusing event.* შღრ. ср. comp. ტყარ **tqar.**

ტყრაშ-ბჟეგ[ალ] ბდ **tqraş-būg[al]** *bd* დიდი ტაშ-ფანდური, ახალგაზრდული მხიარულება, დროს ტარება იმაზე უფრო მეტი აზარტით, ვიდრე იქნებოდა ტყრაშ **tqraş** *молодёжное вечернее веселье, более азарное, чем было бы* ტყრაშ **tqraş** *youth merriment with dancing and clapping with more enthusiasm than it could be.* ტყრაშ **tqraş.** ფსარ-ფსარლო მხ დაჯუდნო უბნეჰა ბაჯო ტყრაშ-ბჟეგალ ბებლორა – საღამოობით კი დიდ უბანში დიდ ტაშ-ფანდურს მართავდნენ (ა. მ.).

ტყრობ მდ **tqrob** *jj* გაუსაძლისი, ყიამათი სიცივე *невыносимый, собачий холод unbearable, dreadful cold.* ვაჯუდნო ვაშეგო ქუდ ვადლორლო, ჰამიგჰეესანე, ო ფეშეკარ მხ ქუდრთბარწინო ლეველორლო უნ ტყრობახ – დიდს (უფროსს) ქუდი ხურებოდაო, როგორც ყველას, ის ბალდი კი თავშიშველი ყოფილიყო იმ ყიამათ სიცივეში (ა. ბ.).

უ

უაღაზრ **uaγazō** გამოუსადეგარი, უვარგისი не[при]годный, никудышный, никчёмный useless. ი უხ უაღაზრ უნახ იცნო, ვო! – ეს რა გამოუსადეგარი რაღაცა გიყილია, კაცო! უაღაზრ სტაკ ვა ის შუქ ერისტო – უვარგისი კაცია ეგ თქვენი ერისტო.

უბორკ **ubork** j*i* იგივეა, რაც то же, что the same as ბანდ-ქოჯრ **bād-kožō**. თხა შაბათ დაწ, უბორკ დეწეს თაგმ – დღეს შაბათია და სახლი უნდა დავალაგო.

უგარ **ugar** j ცხელება (მდგომარეობა ციებ-ცხელებისას) разгорячённое, лихорадочное состояние (во время лихорадки) fever. ლაწმრეგო ღურდქლოლ უგარ და – ავადმყოფს დილიდან ცხელება აქვს.

უგარ დაღარ (თელარ) **ugar jja'ar (te'ar)** გრდუგ. неврх. intrans. ცხელების მიცემა (მიეცემა), დაწყება начало разгорячения (во время лихорадки) to have fever. ცარუნ უგარ დაღარ – ცაროს ცხელება დაეწყო.

უგერშოთ **ugersōt** ზმნს. нареч. adv. 1. ულეშოდ, უკვალოდ бесследно without trace. დეოჰ უგერშოთ ბაფნ თხოგო – ძროხაც უკვალოდ დაგვეკარგა; ში ჩუდნ დაფნ სოგო თხა უგერშოთ – ორი ბატკანი დამეკარგა დღეს ულეშოდ (უკვალოდ).

უგნა **ugnā** j აგონია, უგონობა агония agony.

უგნე ხილარ **ugne xi'ar** გრდუგ. неврх. intrans. აგონიაში ყოფნა (აგონიაშია), უგონოდ ყოფნა (უგონოდაა) пребывать в агонии to be in agony. თხე ბაბრ ბუსცჰას უგნეჩი ვარ – ჰაჰაჩვენი მთელი დამე აგონიაში იყო; ოშტუჩრ კინუდგ ჰიჭნას ფსარე, თხა ტყოც უგნე ვასრ – ისეთ ფილმს ვუყურე გუშინ, დღეს კი-დეგ აგონიაში ვარ (ბ. ბ.).

უეტლო **uetlō** უნდილი, უშნო, უუნარო, უმარიფათო, ცხოვრების უნარის არმქონე не имеющий способность к жизни clumsy, awkward. დად ზორან ვარიცე, უეტლო სტაკ გუვალქ ე ვან ივანე – მამა ყოჩალი ჰყავდა აკი და უმარიფათო კაცი გამოდგა ეს ჩვენი ივანე.

დ/უენი **d/ujnī** მძმლ. прич. particip. 1. გასაკეთებელი, რაც უნდა გაკეთდეს то, что следует сделать smth. to be done. ამბუდ და სოგო ჰოგ დუენი – სალაპარაკო მაქვს შენთან. 2. გამკეთებელი, ის, ვინც (რამაც) უნდა გააკეთოს тот, кто

